

REZO KHUCISVILI

TARDY

LAJOS

ÉS A

KARTVELOLÓGIA

საგან სუტიაზვიანი

საბითუ

საბრდი

და

ქართუნი



წიგნი ეძღვნება ცნობილ უნგრელ ქართველოლოგს, მწერალსა და ისტორიკოსს ლაიოშ ტარდის. იგი ავტორია ისტორიული რომანისა „იაკუბ ბეი“, ოცამდე მონოგრაფიისა და ორასზე მეტი მეცნიერული შრომისა, რამელთა უმეტესი ნაწილი ქართველოლოგიური შინაარსისა.

ნაშრომში განხილულია უნგრელი მეცნიერის ძიებანი უნგრეთისა და საქართველოს ისტორიის საკითხებზე, ამ ორ ქვეყანას შორის პოლიტიკური, ლიტერატურული, კულტურული და სხვა სახის ურთიერთობების შესახებ. აღნიშნულია ლაიოშ ტარდის დიდი ღვაწლი ქართველოლოგიის განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში საზღვარგარეთ.

A könyv Tardy Lajosnak, a híres magyar kartvelológusnak, írónak, történésznek állít emléket. Tardy Lajos a "Jakub bej" c. történelmi regény, mintegy husz monográfia és több mint kétszáz kartvelológiai tárgyú tudományos munka szerzője.

E könyv áttekinti a georgiai és a magyar nép történeti, politikai, irodalmi, kulturális és egyéb kapcsolataival foglalkozó tudományos munkáit. A könyv kiemeli a kartvelológia továbbfejlesztése és külföldi népszerűsítése terén végzett tevékenységét.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ქართული ერის ასტროია, ლიტერატურა და კულტურა მრავალი უცხოელის სპეციალური კვლევის საგანი გამხდარა, რომელსაც მეცნიერული საფუძველი ჩაეყარა გასულ საუკუნეში აკადემიკოს პარი ფედისიიტე პროსეს ქართველოლოგიური მოღვაწეობით. მის შემდეგ საზღვარგარეთული ქართველოლოგიის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს: ე.მურიემ, ა.ბორენმა, ად.ბერეუმ, ა.ლაისტმა, ა.ხეტნერმა, მარჯორი და ოლივერ უორდროპებმა, ლ.მ.ლანგმა, რ.ლაფონმა, ჯ.ფოგტმა, ი.ბრაუნმა, ი.იელდელიჩამ და სხვებმა.

როგორც ცნობილია და ზემოთ ჩამოთვლილი გვარებიდანაც ვხედავთ, მეცნიერული ქართველოლოგიის ჩასახვა-განვითარება ყველაზე წარმატებით ევროპის ქვეყნებში მოხდა, სადაც დღეისათვის - თითქმის ყველა სახელმწიფოში-საკმაოდ ძლიერი ქართველოლოგიური კრები ფუნქციონირებენ. მათ რიცხვში ერთ-ერთი საპატიო ადგილი უნგრულ მეცნიერებს უკავიათ. უნგრეთში ქართველოლოგიურ კვლევა-ძიებას, როგორც მეცნიერულ დისციპლინას, საფუძველი ჩაეყარა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. მანამდე კი ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის საკითხებით დაინტერესებული ყოფილა ბუდაპეშტის სლავისტიკის კათედრის გამგე, პროფესორი ოსკარ ამბოტი (1852-1820), რომელიც აურსევიათ სანქტ-პეტერბურგის აკადემიის წევრადაც (მაგრამ მისი მოღვაწეობა ქართველოლოგიაში ღიშნისმეცნიერებად არ გამოიყურება. აღსანიშნავია უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ბელა ვიკარის მიერ „ფფუნისტკაონის“ უნგრულ ენაზე თარგმან, რომელიც წარმოადგენს ამ უკვდავი პოემის ერთ-ერთ პირველ (ა.ლაისტის შემდეგ) ევროპულ ენაზე შესრულებულ თარგმანს (გამოქვეყნდა 1917 წელს). ჩვენი საუკუნის 60-70-იან წლებში უნგრეთში შეიქმნა ევროპაში ერთ-ერთი ძლიერი ქართველოლოგიური ცენტრი, სადაც კომპლექსურად იკვლევენ ქართული კულტურის, ისტორიის, ლიტერატურისა და სხვა საკითხებს. აქ ქართველოლოგიურ პრობლემებს ამუშავებდნენ და ამუშავებენ: ლაიომ ტარდი, დიორდ რადო, მარტონ იმტანოვიჩი, ერუიბეტ ჩემეგ-ტომპოში, რობერტ დანი, მარგიტ ბარო, ანდრას კომლოში, იმტან ვინცი, ლაიომ ტაკაში და სხვ.

ღიდი ხანი, სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე (1990 წლის თებერვალი) უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობისა და საქართველოს ისტორიის დარგში მეტად ნაყოფიერად მუშაობდა უნგრული მწერალი და მეცნიერ-ისტორიკოსი, პროფესორი ლაიომ ტარდი. ჩვენი საზოგადოებრიობა კარგად იცნობს მას და მის ნაწარმოებებს, რომლებიც საქართველოს ისტორიასა და კულტურას ეძღვნება. მისი მოღვაწეობის საკითხებზე გამოქვეყნებულა აგერი წერილი (იხ. ბიბლიოგრაფია, რომელიც წინამდებარე წიგნს ერთვის), ხოლო „ცოტად თუ ბევრად მინც თავმოყრილი ცნობები“ ქართველ მკითხველს მიაწოდა გ.მარაძემ უერნალ „მნათობში“. მაგრამ, მიუხედავად არსებული ლიტერატურისა, შეიძლება ითქვას, რომ ლაიომ ტარდის ქართველოლოგიური მოღვაწეობა უერჯერობით უეროვნად შესწავლილი მანინც არ არის.

აკადემიკოს ალ. ბარამიძის აზრით, ლაიომ ტარდი პირველთაგანია საზღვარგარეთ მრავლად არსებულ ჩვენი დიდგეროვნული კულტურის დამფასებელთა და მოამაგეთა შორის.²

უნგრელი მეცნიერის ასეთი მაღალი შუფასება, პირველობა, არ არის უსაფუძვლოდ გამოთქმული. რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში, პირველობის განსაზღვრა მეტად რთული საქმეა და შესაძლოა სიფრთხილესაც მოითხოვდეს, მაგრამ, ვინც საზღვარგარეთელი ქართველოლოგების მოღვაწეობას კარგად იცნობს, ალბათ დაგვეთანხმება, რომ ლაიოშ ტარდი პირველად თუ არა, ერთ-ერთ პირველთაგანად აუცილებლად უნდა მივიჩნიოთ.

ჯერ კიდევ ათი წლის წინათ - მას შემდეგ უფრო მდიდარი და მრავალფეროვანი გახდა უნგრელი მეცნიერის ქართველოლოგიური ძიებანი - წიგნში „საზღვარგარეთელი ქართველოლოგია“ ს. თურნაკა წერდა: „ლაიოშ ტარდის მეცნიერული და ლიტერატურული მოღვაწეობა რომ გავაშუქოთ, ამისათვის საჭიროა დაიწეროს მთელი წიგნი, მეცნიერი ამას იმსახურებს... უფრო გვიან, ალბათ, სპეციალისტები გამოსცემენ ცალკე წიგნს ჩვენს დიდ მეგობარ მოღვაწეზე“.

უნგრელმა მეცნიერმა ჭეშმარიტად დაიმსახურა ასეთი დღეასება, ყოფირობთ, უფრო მეტიც, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს განზრახული ჰქონდა ლ. ტარდის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად არჩევა, მაგრამ ეს საქმე ვერ მოხერხდა.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ დიდად დააფასა ლაიოშ ტარდის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა: 1974 წელს დაბადების 60 წელთან დაკავშირებით დაჯილდოვა შრომის ჯერცხლის ორდენით; 1975 წელს - საპატიო ნიშნით „სოციალისტური კულტურისათვის“; დაბადების 70 წელთან დაკავშირებით კი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა ოქროს ზარისხის შრომის ორდენი მიანიჭა. ორდენის გადაცემის ცერემონიაზე უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურისა და და განათლების მინისტრმა ბელა კეპეცემ ლაიოშ ტარდის ასე მიმართა: „განსაკუთრებული მადლობის ღირსია მრავალი ათეული წლის მანძილზე თქვენს მიერ გაწეული თვდადებული შრომა თქვენი სამშობლოს - უნგრეთისათვის ქართული კულტურის კიდევ უფრო უკეთ გაცნობისა და ქართულ-უნგრულ ურთიერთობათა განვითარებისათვის“.



„უველა გზას
საქართველოსკენ მივყავდი“

დავიბადე იმ დღეს, როდესაც იფეთქა პირველმა მსოფლიო ომმა ... ამ ქრონოლოგიის მიხედვით ვარ სამოცდაათ წელზე მეტისა, - წერს ლაიოშ ტარდი თავის მოგონებებში, რომლებიც რამდენიმე წლის წინათ ბუდაპეშტში ცალკე წიგნად გამოსცა „ლიტერატურულმა გამომცემლობამ“.

შესანიშნავია მისი ბიოგრაფია: დაიბადა უნგრეთის დედაქალაქში ტეჩნიკური ინტელიგენტის შვიკონდ ტარდის (წლების განმავლობაში იყო უნგრეთის სახელმწიფო რკინიგზის ინჟინერი) ოჯახში. 1932 წელს, კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო მშობლიურ ქალაქში, დაამთავრა უნივერსიტეტი - იურიდიული (1937 წ.) და ფილოლოგიური (1965 წ.) ფაკულტეტები, მაგრამ მისი დაინტერესების საგნად ისტორია იქცა. 1954 წელს მან სწორედ ისტორიაში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1973 წელს, თბილისში - სადოქტორო.

ლაიოშ ტარდის მრომითი საქმიანობა და ცხოვრების გზა ასე გამოიყურება: 1937 წ. სამსახური დაუწყია სახალხო არმიაში ოფიცრად, ხოლო შემდეგ, 1939-1941 წწ. რესპუბლიკის რკინიგზის იურისტი, 1941 - 1944 წწ. კვლავ უნგრეთის სახალხო არმიას დაუბრუნდა უმცროსი ლეიტენანტის ჩინით, იყო ტყვე, რის შემდეგ მუშაობდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში მრჩევლის თანამდებობაზე. 50-იან წლებში, მრავალ სხვა ინტელიგენტთან ერთად, ისიც რაკოშის სისტემის მსხვერპლი გახდა და რამდენიმე წელი დაპატიმრებული იყო. განთავისუფლების შემდეგ, 1957 - 1968 წწ. იგი იყო ბუდაპეშტის სეჩენის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკის მეცნიერი თანამშრომელი, 1968 - 1975 წლებში - უნგრეთის ცენტრალური არქეოლოგიის ბიბლიოთეკის დირექტორი, ხოლო 1977 წლიდან სიკედილამდე - ქ. სეგედის უნივერსიტეტის პროფესორი, კითხულობდა ლექციებს აღმოსავლეთის ხალხებისა და მათ შორის, საქართველოს ისტორიის საკითხებზე. თვალსაჩინო მეცნიერი არჩეული იყო უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობითი კომისიის წევრად, ორიენტალისტთა საზოგადოების გამგეობისა და პარიზის სააზიო საზოგადოების წევრად, იყო ცნობილი ქართველოლოგიური ჟურნალის „ბედი ქართლისა“ (რევიუ დე კართველოლოგი) სარედაქციო კოლეგიისა და უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების წევრი.

ლაიოშ ტარდი გარდაიცვალა 75 წლის ასაკში. უნგრელი მეცნიერი თავის ნამოღვაწარს მეტად მოკრძალებულად აფასებდა: „კაცი სამოც წელს რომ გადააბიჯებს, მისთვის უკვე ბევრი აღარ არის ათზე მეტი დიდი მოცულობის ნაწარმოების გამოქვეყნება, ასზე ცოტა მეტი ნარკვევი და სტატია იმ საკითხებზე, რომლებზეც იგი თავისი მოღვაწეობის დასაწყისიდან მუშაობს. თუმცა სხვა მიმართულების გამორკვევაც მიწარმოებია, მაგრამ ჩემი მოღვაწეობის მთავარი თემა მაინც უნგრულ - ქართული, უნგრულ - რუსული და ცოტა ნაკლებად - უნგრულ-საბჭოთა ლიტერატურულ და კულტურული კავშირურთიერთობების გამოკვლევაა.“²

ლაოშ ტარდის ორასამდე ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული, მათ შორის ოცამდე მონოგრაფია და ლიტერატურული სახის ნაწარმოებები. მკვლევარის შრომები იბეჭდებოდა მის სამშობლოში, საფრანგეთში, ავსტრიაში, ჰოლანდიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში, ჩვენს რესპუბლიკაში. შრომებში გამოყენებული აქვს უნგრულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, იტალიურ, ლათინურ, ესპანურ და პორტუგალიურ ენებზე არსებული დღემდე უცნობი წყაროები. ეს იმის შედეგია, რომ ფლობდა ყველა ძირითად ევროპულ ენას, იცოდა ქართული და რუსული ენები.



სწორედ რუსული ენის შესანიშნავად ცოდნამ განაპირობა ის, რომ ლაიოშ ტარდის პირველი მეცნიერული გამოკვლევები მიეძღვნა უნგრეთ - რუსეთის ურთიერთობის საკითხებს. „უკვე ახალგაზრდობაში ძალიან მაინტერესებდა ძველი უნგრეთის ისტორია, - იგონებდა უნგრელი მეცნიერი, - მაგრამ სულ მალე მივხვდი, რომ მე-15, მე-18 საუკუნეების უნგრეთის ისტორიის გაგება ძელია, თუ იმ დროის აღმოსავლეთის ქვეყნებთან

არსებულ ურთიერთობას არ გაეცანი. სწორედ ამიტომ დავიწყვე შესატყვისი მასალების შეგროვება.³

გარკვეული შრომის შედეგი იყო მისი საკანდიდატო დისერტაცია პეტერბურგის უნივერსიტეტის პირველ რექტორზე, წარმოშობით უნგრელზე, მიჰაი ბალუძიანსკიზე (1769 - 1847).⁴ იგი იყო იაკობინელთა მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წევრი, რომელიც სასჯელს რუსეთში გაექცა და იქ მოგვიანებით იმპერიის ყველაზე ცნობილი იურისტი გახდა. ამ ნაშრომის საფუძველზე, რომელშიც საუბარია უნგრეთისა და რუსეთის სამართლის ისტორიის საკითხებზე, მათ ურთიერთობებზე, ლაიოშ ტარდის მიენიჭა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

ლაიოშ ტარდომ პირველმა გამოიკვლია რუსული ღვინის შემსყიდველი ტოკაის გაერთიანების ისტორია. ეს გაერთიანება მოქმედებდა მე-18 საუკუნის დასაწყისში, პეტრე პირველსა და ფერენც მეორე რაკოცის ეპოქაში.⁵

1960 წელს ბუდაპეშტში, გამოცემლობა „მედიცინამ“ გამოსცა ლაიოშ ტარდისა და ემილ შულტეისის წიგნი „რუსეთ - უნგრეთის სამედიცინო ურთიერთობის წარსულიდან“, რომელიც 1976 წელს რუსულ ენაზეც გამოქვეყნდა. ამავე საკითხს მიეძღვნა მისი ნაშრომი „იანოშ ორლაი“.⁶ ეს ცნობილი უნგრელი ექიმი მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში მსახურობდა მეფე ალექსანდრე პირველის კარზე. აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით, ნეჟინის გიმნაზიის დირექტორად ყოფნის დროს, მისი მოსწავლე ყოფილა დიდი რუსი მწერალი ნ.ვ.გოგოლი. ლ. ტარდომ გვიანდელ გამოკვლევებშიც მოგვითხრო ამ პიროვნების შესახებ.⁷ ავტორის აზრით, იგი დღესაც დიდ ინტერესს იწვევს. საქმე ის არის, რომ ზოგიერთი უნგრელი მეცნიერი თუ მოგზაური მტკიცედ ყოფილა დარწმუნებული, რომ მათ წინაპრებს თანამედროვე უნგრეთის ტერიტორიაზე დასახლებამდე საქართველოში უნდა ეცხოვრათ და ქართველებს მიიჩნევდნენ თავიანთ მონათესავე ხალხად. ერთ-ერთი ასეთი პიროვნება სწორედ იანოშ ორლაია, რომელიც თავისი ხალხის ძველი საცხოვრებელი ადგილის ძიების მიზნით რამდენიმეჯერ წვევია საქართველოს, გაუკეთებია ძვირფასი ჩანაწერები ჩვენი სამშობლოს ყოფა-ცხოვრების საკითხებზე.

ლაიოშ ტარდომ (დიორდ რადოსთან ერთად) უნგრელი და რუსი ხალხების ლიტერატურულ ურთიერთობას მიუძღვნა გამოკვლევა,⁸ რომელიც ეხება ა. პუშკინის „კავკასიის ტყვეს“ მანამდე უცნობ პირველი უნგრული თარგმანის ხელნაწერს, შესრულებულს 1824 წელს ესტერგომის მკვიდრის გერგეი ნაძლავი იაკშიჩის მიერ, რომელმაც რამდენიმეჯერ იმოგზაურა აღმოსავლეთში.

უნგრულ-რუსული ურთიერთობის საკითხებს ეხება აგრეთვე ლაიოშ ტარდის შრომები: ა.ტურგენევი და უნგრეთი,⁹ რუსი მოგზაურები ბუდასა და პეშტში,¹⁰

პირველი რუსული ჩანაწერები უნგრეთში მოგზაურობის შესახებ¹¹ და სხვ.

უნგრელი მეცნიერის გამოკვლევებმა უნგრეთსა და რუსეთის კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობებზე სპეციალისტების ფართო გამოხმაურება და მოწონება დაიმსახურეს. საბჭოთა ისტორიკოსების ერთ-ერთი ცენტრალური სამეცნიერო ორგანო წერდა: „ტარდის ნაშრომები უნგრეთსა და რუსეთის კულტურულ და ეკონომიკურ კავშირების ისტორიის საკითხებზე, დამყარებული პირველწყაროთა ფართო წრეზე, წარმოადგენს მნიშვნელოვან ინტერესს“. ხოლო 1960 წელს „შტუდია სლავიკა“ მის ამ მოღვაწეობას ასე ახასიათებდა: „ლ. ტარდის თავის ნაშრომებში გააშუქა მთელი რიგი უცნობი ან ნაკლებად ცნობილი მომენტები უნგრულ-რუსულ ურთიერთობისა XIX ს-ში; ლ. ტარდის ბეჭდითი შრომისა და, როგორც ჩანს, ხანგრძლივი მიმოწერის წყალობით დიდი რუდუნებითა და საქმის ცოდნით შეკრიბა თავისი მონაცემები, რისთვისაც უეჭველად იმსახურებს ქებას“.¹²

ლაიოშ ტარდი ერთნაირი გატაცებით იკვლევდა თავისი სამშობლოს წარსულს და მის კონტაქტებს საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებთან, ამიტომ იგი ხალხთა ურთიერთობების მკვლევარის სახელს იმსახურებს. მისი კალამი შეეხო უნგრელი ხალხის ისტორიულ ურთიერთობებს ფრანგებთან, იტალიელებთან, თათრებთან (მონღოლებთან), თურქებთან, უკრაინელებთან და სხვა. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ მისი ზოგიერთი ნაშრომი: წიგნი „ძველი ჩანაწერები უნგრეთზე“,¹³ რომელშიც ავტორი მდიდარ და მნიშვნელოვან პირველწყაროებზე დაყრდნობით განიხილავს XII-XIX საუკუნეების დროინდელ უნგრეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებას. განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნებთან კულტურულ-ისტორიული ურთიერთობების საკითხებზე; კალმან ბენდასთან ერთად ცალკე წიგნად გამოქვეყნებული ფრანგი (წარმოშობით იტალიელი) დიპლომატის პიერე ლენგლოპიერის ტრანსილვანიაში 1574 წელს მოგზაურობის მთაბეჭდილებები შეიცავს უნგრეთის ისტორიისა და უნგრეთ - საფრანგეთის ისტორიული ურთიერთობის ძვირფას ცნობებს;¹⁴ მრავალი საინტერესო მასალაა თავმოყრილი უნგრელთა თათრებთან (მონღოლებთან) ურთიერთობის შესახებ მონოგრაფიაში „ტყუევებით ვაჭრობა თათრებში და უნგრელები XIII - XV საუკუნეებში“¹⁵ და სხვ.

მაგრამ მიუხედავად ზემოგანხილული მასალისა, ლაიოშ ტარდის მოღვაწეობის მთავარი თემა, როგორც თვითონ აღიარებს, მაინც უნგრულ-ქართული ურთიერთობების გამოკვლევაა და მისი ერთგული რჩება ბოლომდე.

როგორ წარმოიშვა უნგრელი მეცნიერის სიყვარული ჩვენი ქვეყნისადმი? ამაზე ლაიოშ ტარდი ასე გადმოგვცემს: „ინტერესი საქართველოსადმი გამიჩნდა მაშინ, როდესაც ჩვეულებრივ პირველი სიყვარული შედის ძალაში. პირველი სიყვარული კი დიდი ხანია, წავიდა, მაგრამ საქართველოსადმი ინტერესი უფრო მტკიცე გამოდგა და გრძელდება უკვე 30 წელია, თანდათან გადაიზარდა გატაცებაში, თითქოს „გაზაფხულის მეგზურის“ მსგავსად“.¹⁶

შემდეგ უნგრელმა მეგობარმა დაიწყო სხვადასხვა სახის ლიტერატურის შეკრება ჩვენს ქვეყანაზე - ყიდულობდა წიგნებს მის შესახებ ევროპის ქვეყნების მალაზიებში თუ აუქციონებზე, იწერდა ლიტერატურას ჩვენი ქვეყნიდან და ამგვარად მის ქართველოლოგიურ ბიბლიოთეკა-მუზეუმში (მასზე ცალკე გვექნება საუბარი) გაჩნდა მრავალი საინტერესო წიგნი საქართველოს წარსულსა და აწმყობზე. ჯერ კიდევ ქაბუკობის წლებში ერთ-ერთ ძველ ჟურნალში წაუკითხავს, რომ უნგრეთს, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში ემუქრებოდნენ გერმანელები და თურქები, შეიძლება თავისი ისტორიული წარსულით შეედაროს მხოლოდ საქართველო, რომლის დაპყრობასაც ხან თურქები, ხან კი სპარსელები ცდილობდნენ. ჟურნალში ლაპარაკი იყო ქართველთა დიდ თავისუფლებისმოყვარეობაზე, შესანიშნავ ეროვნულ ხასიათზე და ა.შ. „ეს საკმარისი გახდა იმისათვის, - აღნიშნავს უნგრელი მეცნიერი, - რომ გამჩენოდა განსაკუთრებული ინტერესი ყველაფრისადმი, რაც კი დაკავშირებული იყო თქვენს ქვეყანასთან... მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი ჩემი გატაცება საქართველოთი გაიზარდა, რადგან ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ მრავალმა ქართველმა მებრძოლმა მონაწილეობა მიიღო ჩემი სამშობლოს განთავისუფლებაში“.¹⁷

უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა ტარდის ამ გატაცებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა XIX საუკუნის უნგრულ მხატვრულ ლიტერატურაში არსებულმა ქართულმა თემამ, მასთან შეხვედრამ. იგი გასცნობია უნგრელი პოეტის შებეშტიენ ლანტოშ ტინოდის ლექსს „მედეა“ და ანდრას დუგონიჩის რომანს „ოქროს საწმისის რაინდები“, რომლებშიც მხატვრული ოსტატობითაა აღწერილი ლეგენდა კოლხი ქალის მედეასა და ბერძენი არგონავტის იაზონის შესახებ. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მასში უნგრული პრაზის კლასიკოსის მორ იოკაისა და მისი მიმდევრის კაროი სატმარის ისტორიულმა რომანებმა.

რომანში „რიუმინი“ (მთავარი გმირის გვარია და მის სამოქმედო ასპარეზად სვანეთია არჩეული) მორ იოკაი აღწერს საქართველოს კულტურულ-ისტორიულ წარსულს, მის სხვადასხვა კუთხეს, ბუნებას, ხალხს. ავტორი წერს: „თამარ მეფემ ცხენზე შესვა ქართველი ქალები, ქალიშვილები, რკინის პერანგი ჩააცვა მათ, მშვილდი,

ხმალი მისცა ხელში და მალე კავკასიის ციხეთა წინ ასირიელთა ძვლები გორებად დადგა“. უნგრელი პროზაიკოსი მკითხველს აცნობს ქართულ ლიტერატურას, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ და ა.შ. ამ მხრივ აღსანიშნავია აგრეთვე მისი ნაწარმოებები „თავისუფლება თოვლქვეშ“ და „ამირანი“.

მორ იოკაის თაყვანისმცემელმა კაროი სატმარმა კი დაწერა რომანი საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ საინტერესო ფაქტზე. „საქართველოს უკანასკნელი დედოფალი“ — ასე ეწოდება მის თხზულებას, რომელიც პირველად 1855 წელს დაიბეჭდა ბუდაპეშტში „ვაშარნაპ უიშაგის“ (კვირის გაზეთი) ფურცლებზე. იგი ეძღვნება გიორგი XII-ის მეუღლეს მარიამ ციციშვილს და მის მიერ გენერალ ლაზარევის გახმაურებულ მკვლელობას. გ. შარაძის სამართლიანი აზრით, ეს რომანი სპეციალური შესწავლის ღირსია. ვფიქრობ, 18 ღრმა შესწავლას იმსახურებს აგრეთვე მორ იოკაის ნაწარმოებებში ასახული ქართული თემის საკითხიც. ამ მხრივ პირველი ნაბიჯი უკვე გადადგა ლაიოშ ტარდომ, 1975 წელს გამოქვეყნდა საინტერესო წერილი „იოკაი და საქართველო“.¹⁹

საქართველოთი დაინტერესებული ახალგაზრდა ჯერ კიდევ ადრეულ წლებში გასცნობია მიჰაი ზიჩის „ვეფხისტყაოსნის“ სახელგანთქმულ ილუსტრაციებს და რუსთაველის პოემის ბელა ვიკარისულ თარგმანს, რასაც დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია.

ზემოდასახელებულ გარემოებათა წყალობით, როგორც შემდეგ მოგონებებში იტყვის უნგრელი პროფესორი ლ. ტარდი, „აღმოჩნდა, რომ ყველა გზას საქართველოში მივყავდი“.²⁰

ქართველოლოგიური ძიებანი

ქართველოლოგიური მოღვაწეობა ლაიოშ ტარდიმ 50-იანი წლების დასასრულს დაიწყო. პირველი ქართველოლოგიური ნაშრომი კი, რომლითაც იგი 1957 წელს წარსდგა მკითხველის წინაშე, იყო „იაკობ რეინეგსისა და იანოშ კოპარის მოღვაწეობა კავკასიაში XVIII ს. მეორე ნახევარში“.

ცნობილია, რომ XVIII ს. მეორე ნახევარში ერეკლე II-ის სამეფო კარზე რამდენიმე წელი (1779 - 1782) მოღვაწეობდა უნგრეთში გაზრდილი საქსონელი იაკობ რეინეგსი. ეს ის ხანაა, როცა მზადდებოდა ნიადაგი რუსეთსა და საქართველოს შორის ხელშეკრულების დადებისათვის. რეინეგსმა გარკვეული როლი შეასრულა ამ პოლიტიკური აქტის მომზადებაში. მას, მწერალს, ისტორიკოსს, ექიმს და გეოლოგს, მრავალი ენის მცოდნეს, რომელმაც კავკასიის დაწვრილებითი გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული აღწერა მოგვცა, საქართველოში იაკობ ბეის უწოდებდნენ.

ი. რეინეგსის პიროვნებისა და საქართველოში მისი მოღვაწეობის შესახებ ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ორი განსხვავებული შეხედულება არსებობს. მკვლევართა ერთი ნაწილი მის ბიოგრაფიასა და პიროვნებას „ბურჟუსით მოცულად“ მიიჩნევს, ხოლო მოღვაწეობაში ავანტურუიზმს ხედავს.¹ მეცნიერთა მეორე ნაწილში კი იგი არაერთად ეჭვს არ იწვევს და ისინი მის საქმიანობას მთლიანად კეთილშობილურ მიზნებიდან გამომდინარე თვლიან.² სწორედ ამ უკანასკნელთა რიცხვში დგება ქართველოლოგიურ ასპარეზზე ახლადგამოსული უნგრელი მკვლევარი ლაიოშ ტარდი. გარდა ზემოთ დასახელებული ნაშრომებისა, რეინეგსის საქართველოში მოღვაწეობის თემას ვხვდებით მის სხვა გამოკვლევაშიც,³ ხოლო 1962 წელს დაწერა მასზე ისტორიული რომანი „იაკობ ბეი“, რომელიც 1971 წელს ქართულადაც გამოქვეყნდა (უნგრულიდან თარგმნეს მედეა ქართველიშვილმა და იუდიტ კაპოშიმ).

რომანის ქართულ გამოცემას ბოლოში ერთვის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ვ.გუჩუას „ბოლო-სიტყვაობა“, რომელშიც საუბარია ნაწარმოებში მოყვანილ ისტორიულ ფაქტებზე, მათ რეალობასა და ღირებულებაზე. ქართველი ისტორიკოსი უნგრელი ავტორის ნაშრომს ძირითადად დადებითად აფასებს, თვლის სასარგებლოდ და შენიშვნის სახით ერთ ადგილას აღნიშნავს, რომ „მართალია, ისტორიულ თემაზე მომუშავე მწერალი არაა ვალდებული ისტორიულ ფაქტებს კვალდაკვალ მისდიოს, მაგრამ ფაქტების დამახინჯება სასურველი არ არის. ქეთევანი რეინეგსის აქ ყოფნის დროს მამის ოჯახში აღარაა. ის

სახლის, იოანე მუხრანბატონის მეუღლე და საკუთარი ოჯახის პატრონია“

როგორც ჩანს, ლაიოშ ტარდის ასეთი მოსალოდნელი შენიშვნები წიგნის წინასიტყვაობაში გაუთვალისწინებია: „ქართველ მკითხველს ვთხოვ არ დაავიწყდეს, - წერს იგი, - რომ ხელში უჭირავს რომანი და არა ისტორიოგრაფიის ილუსტრირებული შრომა“. 5

ლაიოშ ტარდის ისტორიული რომანი გულითადად მოიწონა ქართველმა საზოგადოებამ, რაზედაც მეტყველებს აკაკი ორბელიანის რეცენზიაში ნათქვამი სიტყვები: „ლაიოშ ტარდის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის ისტორიულ რომანს „იაკუბ ბეის“. საქართველოს თემაზე დაწერილმა ამ ნაწარმოებმა ფართო მკითხველის ინტერესი გამოიწვია. რომანის ყოველ სტრიქონში ჩაქსოვილია საქართველოსადმი ავტორის დიდი სიყვარული. ამ სიყვარულმა თავისი შედეგი გამოიღო. წიგნი მთელი გულით შეიყვარა ქართველმა მკითხველმა და მის ავტორს გაათკეცებული სიყვარულით უპასუხა“. 6

როგორც აღვნიშნეთ, ლაიოშ ტარდი თავის მეცნიერულ გამოკვლევებში და ისტორიულ რომანშიც ი. რეინეგსის საქართველოში მოღვაწეობას იდეალურად წარმოგვიდგენს. ავტორი ეყრდნობა გ. ქიქოძის ცნობას, 7 თითქოს რეინეგსს ჩვენთან სტამბა დაუარსებია, ხოლო ფართო მოღვაწეობის საილუსტრაციოდ მოჰყავს ნაწყვეტი მისივე მონათხრობიდან: „თქვენ, ალბათ, გაინტერესებთ იმის გაგება, თუ რას ვაკეთებდი ამ ქვეყანაში წლების მანძილზე. ვაკვირდებოდი და ვეცნობოდი ამ ერს, იმის შემდეგ კი, რაც ქართულ ენას დაეუფლე, კეთილშობილი მეტალების დამუშავება, თუჯის ჩაძოსნა, ფოლადისა და რკინის მეტალურგიულ საწარმოთა მოწყობა და ვიწყევასწავლიდი ზარბაზნების ჩამოსხმას, ტყვია - წამლის დამზადებას და მათი შესანახი საწყობის აშენებას. მეფის ბრძანებით ერთ-ერთი მათგანის ფასადზე, მარმარილოს ქვაზე სპარსულად ამოკვეთეს ჩემი სახელი და დამსახურება, გარდა ამისა, მეფემ ბრძანა, რომ ყოველივე კარგი, რაც ჩემს მოღვაწეობას შეეხებოდა, ჩაეწერათ საეკლესიო წიგნებში და ყოველწლიურ აღმანახში“. 8

აქ ჩამოთვლილი საქმიანობის ყველა მხარეს და რეინეგსის აძრიგად დაფასებას, რომელსაც იზიარებს ლაიოშ ტარდი, ჩვენ მთლიანად ვერ ვეთაყვებებით, ვინაიდან ზოგიერთი სარწმუნო ფაქტი საწინააღმდეგოს მეტყველებს. მაგალითად, დავით ბატონიშვილის წერილში მუსინ-პუშკინისადმი პირდაპირ უარყოფილია რეინეგსის მიერ მეტალების დამუშავებისა და ჩამოსხმის საწარმოთა მოწყობა, მისი სიახლე ამ საქმეში მხოლოდ ის ყოფილია, რომ აღამიანის შრომის ერთი ნაწილი წყლით შეუცვლია, წყლით აუმოძრავებია ბორბლები. არც სახელი არ ანოუკვეთავთ მარმარილოს დაფაზე. 9 აქაც აქარბებს

რეინეგსი. რაც შეეხება გ. ქიქოძის ცნობას, რეინეგსის მიერ ჩვენთან სტამბის დაარსების შესახებ, სიმართლეს არ შეესაბამება, ვინაიდან საკმაოდ ცნობილი ერეკლე მეფის მიერ ვახტანგისეული სტამბის აღდგენის ფაქტი 10 გაცილებით უფრო ადრე მოხდა (1749 წ.), ვიდრე რეინეგსი საქართველოში ჩამოვიდოდა.

მიუხედავად ამისა, იაკუბ „დოხტურის“ (მას საქართველოში ასე მიმართავდნენ) მოღვაწეობა ჩვენში მრავალწრივი და სასარგებლო იყო. მართალია, არსებული ცნობები მის შესახებ წინააღმდეგობრივი ხასიათისაა, მაგრამ საესებით ვიზიარებთ ლაიოშ ტარდის აზრს ამის შესახებ, რომ მან მრავალი საჭირო საქმე გააკეთა იმდროინდელ საქართველოს კეთილდღეობისათვის. ამას მოწმობს ისიც, რომ რეინეგსის მოღვაწეობით ძირითადად კმაყოფილი ყოფილან საქართველოს ხელისუფალნი, როგორც ირკვევა იაკუბ „დოხტურისადმი“ მათი წერილებიდან. ¹¹

როგორც თავის პირველ ქართველოლოგიურ ნაშრომში, ასევე მომდევნოშიც, უნგრელი მეცნიერი რეინეგსის საქართველოში მოღვაწეობის გადმოცემის დროს არსად არ ივიწყებს მის თანამგზავრს გრაფ იანოშ კოპარს. იგი საქართველოში რეინეგსთან ერთად ჩამოსულა და ერთხანს მონეტრიალუ ექიმად მუშაობდა, შემდეგ თბილისის დომინიკანელთა მონასტერში შევიდა და იქვე გარდაიცვალა 1780 წელს. ლაიოშ ტარდის აზრით, გრაფ კოპარს აუადმყოფობის გამო საქართველოში ნაკლებად იხსენიებენ. აღსანიშნავია გრაფი კოპარის პოლიტიკური ხასიათის წერილები დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან - უნგრეთსა და ავსტრიასთან, რომლებიც გამოაგლინა ლაიოშ ტარდომ უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში (წერილებს ამ ბიბლიოთეკაში მუშაობის დროს მეც გავეცანი). ¹² წერილებს ლაიტმოტივად გასდევს უნგრელი გრაფის უკმაყოფილება იმდროინდელი ქართველი მესვეურების მასშტაბით, რომ მათ (მეფემ და ბატონიშვილმა) არ მიაქციეს მას სათანადო ყურადღება ისე როგორც რეინეგსს, არ გამოუყვეს მამული და ა. შ. ვფიქრობთ, - და ეს ჩვენი აზრი პირად საუბარში გაიზიარა უნგრელმა პროფესორმა ლ. ტარდომ, - იანოშ კოპარი არ იყო რეინეგსის მასშტაბის მოღვაწე, მასავით განსწავლული... და ამიტომაც ქართველ ხელისუფალთ არ შეეძლოთ მისი დაფასება იაკუბ „დოხტურისავით“. ალბათ, სწორედ ამან განაპირობა იაკუბ კოპარის გულისტკივილი-უკმაყოფილება, რომელიც გამოთქმულია ზემოაღნიშნულ მის წერილებში.

რეინეგსსა და კოპარს ბევრი მიმდევარი ჰყავდა უნგრეთში, - აღნიშნავს ლ. ტარდი. - მართლაც, მრავალი უნგრელი მეცნიერი, სწავლულები, მოგზაურები თუ სამხედრო პირი ჩამოდიოდა კავკასიაში, კერძოდ კი საქართველოში. მაგრამ ამ ორი წინამორბედისაგან ისინი

იმით განსხვავდებოდნენ, რომ მათი გაზრდილი ინტერესი საქართველოსადმი სულ სხვა მიზეზით იყო გამოწვეული, სახელდობრ, მათ ღრმად სწამდათ თავიანთი წინაპრების ადგილსამყოფელის არსებობა სადღაც კავკასიაში.

ორიენტალისტურ ასპარეზზე გამოსული მეცნიერისათვის საკმაოდ კარგად იყო ცნობილი უნგრულ ისტორიოგრაფიაში არსებული უნგრელ-ქართველთა ნათესაობის პრობლემა. ჯერ კიდევ უნგრეთის მეფე მატიაშის ეპოქაში (1458 - 1490 წწ.), როგორც ეს ისტორიკოს იანოშ ტუროცის ქრონიკებიდანაც ირკვევა, მოღური იყო თვალსაზრისი, რომ უნგრელებიც და ქართველებიც ერთი წარმოშობის ხალხებად ჩაეთვალათ, ამაზე მეტყველებს აგრეთვე უნგრელ ჰუმანისტთა მიერ შემუშავებული ე.წ. „სკვითური თეორია“, რომლის შესაბამისად უნგრელთა ერთ-ერთ პირველ საცხოვრებელ ადგილად კავკასია, და მათ შორის საქართველოა მიჩნეული.

სწორედ ამ საკითხის კვლევაა ლაიოშ ტარდის ძირითადი ქვაკუთხედი მის მომდევნო ქართველოლოგიურ ნაშრომებში, რომლებშიც მდიდარ და მის მიერვე ახლადგამოვლენილ წყაროებზე დაყრდნობით შეისწავლა საქართველოთი დაინტერესებული მრავალი უნგრელი მეცნიერ-მოგზაურის მოღვაწეობა. ლაიოშ ტარდის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი პრობლემას მეტად ფრთხილად, დაკვირვებულად და აუჩქარებლად ეპყრობოდა.

რა თქმა უნდა, სავსებით ბუნებრივია, ახალბედა უნგრელი ქართველოლოგის აღნიშნული თემით დაინტერესება, რამეთუ, როგორც აღვნიშნეთ, მას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს და შეიძლება თამამად ითვას, დღემდე ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის შესწავლილი. ამასვე იტყვის უკვე ამ სფეროში მრავალი შრომის ავტორი და საყოველთაოდ აღიარებული ქართველოლოგი ლაიოშ ტარდი თავის ერთ-ერთი უკანასკნელ ნაშრომში.¹³ აქ ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ თითქოს ლაიოშ ტარდი ერთადერთი თანამედროვე ისტორიკოსი იყო, ვინც უნგრელთა პირველსაცხოვრისის ძიება დაიწყო კავკასიაში, ანდა თითქოს სხვა მეცნიერები არ სწავლობდნენ და არ მუშაობენ ამ პრობლემაზე. მათ რიცხვში სამაგალითონი არიან ლაიოშ ლიგეტი, დიორდ დიერფი და სხვ. მაგრამ ლაიოშ ტარდი ყველა დანარჩენისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი ქართველოლოგია, და ამიტომ უფრო კონკრეტულად იკვლევს უნგრელი ხალხის ისტორიის ამ საინტერესო ნაწილს საქართველო-ლოსთან კავშირში.

იცოდა რა საკვლევი თემის ასეთი აქტუალობა და აგრეთვე მასზე მუშაობის თანმხლები სირთულეები, ლაიოშ ტარდიმ პირველი ორიენტირი აიღო იმ უნგრელ მეცნიერ-მოგზაურთა ჩანაწერების შესწავლა - დამუშავებაზე, რომლებიც ეწვივნენ კავკასიას გასულ საუკუნეებში. ლაიოშ ტარდისვე მეცადინეობით დღეისათვის მათი რიცხვი მრავლადაა გამოვლენილი.

ერთ-ერთი ასეთი პიროვნება, რომელზეც ახალგაზრდა უნგრელმა ქართველოლოგმა დაწერა თავისი პირველი გამოკვლევა, იყო იანოშ ორლაი. ჩვენ უკვე შევაჩერეთ ყურადღება მასზე ლაიოშ ტარდის უნგრეთ-რუსეთის ურთიერთობის ამსახველ შრომებზე საუბრის დროს და აღვნიშნეთ, რომ ი. ორლაი თავისი წინაპრების ძველი საცხოვრებელი ადგილის ძიების მიზნით რამდენჯერმე ეწვია საქართველოს.

იანოშ ორლაიმ, ბოლოს, უკვე ხანშიშესულმა, იაკშიჩ გერგეისთან ერთად იმოგზაურა კავკასიაში და მთელი თავისი შთაბეჭდილებები და დაკვირვებები აღწერა ლათინურ ენაზე წიგნში „ჩემი მოგზაურობის შესახებ 1815 წელს ხერსონში, ტაირისში, ამიერკავკასიის რესპუბლიკაში, მოზდოკში, ყიზლარში და აგრეთვე სხვა საქმეებზე“. ეს წიგნი არ დაბეჭდილა, ხოლო ხელნაწერების ნაწილი დაიკარგა. ლაიოშ ტარდიმ შეძლო ი. ორლაის შემორჩენილი ზოგიერთი წერილითა და მისი თანამედროვეთა გადმოცემით გამოერკვია ი. ორლაის მოგზაურობა კავკასიის ქვეყნებში.

ლაიოშ ტარდის აზრით, ი. ორლაის ჩანაწერებში საინტერესოდ და შესანიშნავად არის გადმოცემული ზოგი მოგზაურობის მიზანი და შთაბეჭდილებები. ერთ-ერთი მათგანი ასეთია: „... ნამდვილად დიდი დანაშაულია, თუკი ვინმე არ დაინტერესდება და არ შეეცდება თავისი სამშობლოს წარსულს გაეცნოს, თუგინდ ეს დიდ სიძნელებთან იყოს დაკავშირებული. როდესაც მე 1791 წელს ბალტიის ზღვის სანაპიროს გავლით პეტერბურგში ჩაველი, მაშინვე უნგრელების მონათესავე ხალხის ისტორიის შესწავლა დავიწყე. შემოვიარე ლაფლანდია, ფინეთი, კავკასია, ურალის მთიანი მხარე და საკუთარი თვალთ ვნახე ძველი უნგრეთის კვალი. იმ მხარეში, რომელიც დონის, კავკასიის მთებსა და კასპიის ზღვას შორის მდებარეობს, დავათვალიერე უნგრული ქალაქების ნანგრევები.“¹⁴

როდესაც საუბარი გვაქვს ლაიოშ ტარდის იმ ქართველოლოგიურ ძიებებზე, სადაც გადმოგვცემს უნგრელ მეცნიერ-მოგზაურთა ცნობებს ჩვენი ქვეყნის შესახებ, შეუძლებელია ცალკე არ დავასახელოთ დიორდ რადოსთან ერთად 1963 წელს გამოცემული მისი წიგნი „იანოშ ბეშეს მოგზაურობა“. ¹⁵ ეს თუნდაც იმიტომ, რომ იგი ლაიოშ ტარდის ერთ-ერთი ცალკე გადმოცემული წიგნია, რომელიც ეძღვნება უნგრელ მოგზაურთა ჩამოსვლას საქართველოში. მისი განსაკუთრებული ყურადღება კი იანოშ ბეშესადმი გამოიწვია იმან, რომ ბეშე ერთი პირველთაგანია, რომელმაც XIX საუკუნის დასაწყისში მრავალი საინტერესო ჩანაწერი დატოვა საქართველოს შესახებ. იგი ღრმა პატივისცემით წერს ქართველი ხალხის კულტურულ-ისტორიული მემკვიდრეობის შესახებ: „ქართველები ნამდვილად ღირსნი

არინ, რომ მათ უფრო ახლო გაეცნონ, დააფასონ მათი ცოდნა და გამოცდილება მეცნიერების სხვადასხვა დარგში, ხელოვნებაში. ეს შრომისმოყვარე ხალხი შესანიშნავად აძუშავენს მიწას, დიდი სიყვავულით უვლის ვაზს და აყენებს საუცხოო ღვინოს.“ 16

იანოშ ბეშეს უნახავს უნგრელების წინაპართა კვალი დონისა და შავიზღვისპირა მცხოვრებ კაზაკებში. მისი ცნობით, ლეკებში ჯერ კიდევ ცოცხლობს ხსოვნა იმ უნგრელებისა, რომლებსაც კავკასიის მთებში უცხოვრიათ. ასეთივე პასუხი მიუღია მას მთის სხვა მცხოვრებთაგან. აქედან ირკვევა, - გამოაქვს დასკვნა ლაიოშ ტარდის, რომ კავკასიაში უნგრელებს კარგად იცნობდნენ. 17

მომდევნო წლებში ლაიოშ ტარდი კვლავ დიორდ რადოსთან თანამშრომლობით აგრძელებს საქართველოში მყოფ უნგრელ მეცნიერ-მოგზაურთა სახელების გამოკვლენას, მათი ჩანაწერების მოძიებას, დაწუშავენებს და ა.შ., რასაც მოჰყვა გარკვეული შედეგები - აღმოჩნდა სრულიად ახალი, საინტერესო და საყურადღებო მასალები. ამის საფუძველზე მათ გამოაქვეყნეს ერთობლივი სტატია „საქართველო უნგრელთა თეალით“. 18 ნაშრომში პირველადაა ერთად თავმოყრილი ცნობები იმ უნგრელთა შესახებ, რომლებიც ჩამოდიოდნენ ჩვენში უნგრელთა ძველი საცხოვრებელი ადგილის ძიების მიზნით და მათზეც, ვინც შორეულ საქართველოში მოხვდა შემთხვევით ანდა მივლინებით. ასეთები იყვნენ: იოჰან შილტბერგერი, პეტერ ბედიკი, მიჰაი ტურკოლი, იოჟეფ რენცი, იშტვან ნოგელი, იენო ზიჩი, ბელა პოშტი, დეზი მორტი, ჩუდაკ ბერტალონი და სხვ.

1965 წელს ბუდაპეშტში დაიბეჭდა ლაიოშ ტარდის წიგნი „უნგრეთ - საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან“ (1968 წ. გამოიცა ქართულადაც). ნაშრომი მოცულობით პატარაა, რის გამოც ვერ ვხედავთ მასში ამ ფართო თემის ბოლიანად გაშუქებას. იგი მოიცავს უნგრეთ-საქართველოს კულტურულ - ისტორიული ურთიერთობის რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტს და გვაწვდის ზოგიერთ ახალ მოგზაურთა ჩანაწერებს, რომლებშიც აღწერილია საქართველოს ისტორია, ბუნება და რაც მთავარია, ქართულ - უნგრული ნათესაობის იდეის ამსახველი ცნობები. ამ წიგნში მოყვანილი 1584 - 1902 წლებში 7-ჯერ საქართველოში ნამყოფი უნგრელი მოგზაურის დეზი მორტის სიტყვები: „ნუთუ არ შეგზვედრიათ მთებს შორის უნგრელებს მონათესავე ტომები ან გარკვეული ნაწილი თავის ეროვნებას ჩამოცილებული ხალხისა და რამდენად ჩანს აქ ჩვენი წინაპრების კვალი“. 19

ლაიოშ ტარდი მთელი თავისი მეცნიერული მოღვაწეობის მანძილზე ერთგული დარჩა ეკვლეა დასახელებული პრობლემა. იგი გზადაგზა, სხვადასხვა ასპექტით თუ მეთოდით ცდილობდა გაღმოეცა

საინტერესო მასალები ამ საკითხებზე, რომელთა ცალ-ცალკე განხილვა შორს წაგვიყვანდა და ამასთანავე ვართო დჯილსაც დაიკავებდა. ამისათვის შესანიშნავი გამოსავალია დავასახელოთ მისი წიგნი „ძველი ჩანაწერები ჩვენს ქვეყანაზე“, სადაც თავმოყრილია მის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული უნგრელ მოგზაურთა შრომები კავკასიასა თუ საქართველოში ჩამოსვლის შესახებ და სხვა შინაარსის მასალებიც.

ლაიოშ ტარდის აღნიშნულ ნაშრომში მოყვანილი ფაქტებიდან გამომდინარეობს, რომ უნგრელი მეცნიერ-მოგზაურების უმრავლესობა, თითქმის ყველა, ჩრდილო კავკასიაში ან საქართველოში მრავალ საერთოს პოულობდა უნგრელ და ქართველ ხალხებს შორის. ისინი ძირითადად ამსუავსებდნენ ამ ორი ერის ადათ - წესებს, ხელოვნების ზოგიერთ დარგს, გარეგნობას, ენას (განსაკუთრებით ოსურს) და სხვ. ზოგიერთი მათგანის ცნობებით, უნგრული ქალაქების ნანგრევები არსებობდა კავკასიაში, მაგრამ ამ აღმოჩენებს უნგრელი მკვლევარებისათვის სასურველი შედეგი არ მოუტანია, ვინაიდან ვერ გამოავლინეს ის ქემზარიტი საბუთები, რომლებიც დაამტკიცებდნენ მათ მიერ წამოყენებულ ჰიპოთეზას.

როგორც ავლნიშნეთ, ეს ჰიპოთეზა დღესაც ჰიპოთეზად რჩება. პრობლემა კი დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული. მიუხედავად ამისა, ლაიოშ ტარდის მოღვაწეობაში იგრძნობა განსაკუთრებული მონდომება შეეტანა თავისი მოკრძალებული წვლილი ამ საკითხის შემდგომ შესწავლა - განვითარებაში. ლაიოშ ტარდის ამ მკვლელობის შეუასებას შესანიშნავად მიესადაგება აკად. არნოლდ ჩიქობავას სიტყვები: „ყოველი მეცნიერება ჰიპოთეზით იწყება. ჰიპოთეზა კვლევა-ძიებას მოითხოვს. ჰიპოთეზა გაპარტლებულია, თუ ამ კვლევა-ძიებამ მეცნიერული ცოდნის წინსვლა განსაზღვრა, ის გაარკვია, რასაც მანამდე მეცნიერული აზრი ვერ ხედავდა, თუ ახალი პერსპექტივა დასაბა.“ 20

აღნიშნული ნათქვამის დასადასტურებლად მოვიყვანთ ორიოდე მაგალითს, ანუ შევეხებით ლაიოშ ტარდის იმ ნაშრომებს, რომლებშიც ეროვნულ კიდევ ნააღად ჩანს უნგრელი მეცნიერის არა მარტო ზეპო ხსენებული პრობლემებით დაინტერესება, არამედ მისი კვლევითი საქმიანობის ფართო დიაპაზონი, პირველწყაროების, ლიტერატურისა და უცხო ენათა შესანიშნავი ცოდნა და, რაც ყველაზე მთავარია, მაღალი დონის ევროპული ერუდიცია.

უნგრელმა მკვლევარმა ვენის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში მუშაობის დროს გამოავლინა გრაგნილი, რომელშიც მოთავსებულია XVI საუკუნის პირველ მეოთხედში უცნობი ავტორის მიერ ხელით დახატული და გაფერადებული მსოფლიო რუკა. მასზე საქართველო აღნიშნულია შავ და კასპიის ზღვებს

შორის „კუმანიის თათრების“ სახელწოდებით. აქვეა ლათინური წარწერა „საქართველო ანუ ანტიკური უნგრეთი“. ლათინურ ტარდის წინაშე ბუნებრივად წამოიჭრა კითხვა : როგორ აეხსნა ეს ლოგიკური ცნობა, ვინ არის რუკის ავტორი და როგორ მოხვდა რუკაზე ასეთი მცდარი წარწერები.

მართალია, უნგრულ ისტორიოგრაფიაში (დიორდ დიორფი, ლასლო ბენდეფი, იოჟეფ ტური) მიღებულია აზრი აღმოსავლეთიდან დასავლეთში უნგრელთა ტომების გადასახლების დროს ნაწილის კავკასიაში დარჩენის შესახებ, მაგრამ საკითხი მაინც გაურკვეველი რჩებოდა. ზემოაღნიშნული კითხვის საპასუხოდ ლათინურ ტარდის უნდა შეესწავლა ევროპაში შედგენილი საქართველოს ძველი რუკები, წერილობითი წყაროები, ლიტერატურა და ა.შ., რასაც შესანიშნავად გაართვა თავი. მან აღნიშნულ საკითხზე რამდენიმე ნაშრომი გამოაქვეყნა უნგრულ, ინგლისურ და ქართულ ენებზე.²¹ ლ. ტარდის აზრით, ავტორი იყო ნიუნბერგის უნივერსიტეტის პროფესორი იოჰან შონერი (1477—1547), რომელმაც შეიტყო ვერსია უნგრელების პირვანდელ სამშობლოდ საქართველოს მიჩნევის შესახებ და მხოლოდ ამის საფუძველზე გააკეთა ასეთი დაუკვირვებელი, უსაფუძვლო წარწერა რუკაზე.

ლათინურ ტარდის უნგრულ-კავკასიური პრობლემის კვლევაში, ჩემი აზრით, აღმოაჩინა ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო „ხელმოსაკიდი“ გარემოება. მან ყურადღება გაამახვილა XIII-XV საუკუნეებში შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე გადაწოლილი გენუისა და ვენეციის - პირველ რიგში კათა და ტანა - სავაჭრო კოლონიებში ტყვეთაყიდვის საკითხებზე, კერძოდ კი ტყვეთა ეთნიკურ შემადგენლობაზე. საქმე ისაა, რომ ოქროს ურდოს მიერ დამორჩილებული ხალხები: ყივჩაღები, თათრები, რუსები, ჩერქეზები, ჯიქები, ალანები და ლეკები შეადგენდნენ ტყვეთა მთავარ კონტიგენტს (მათ შორის გვხვდება აფხაზიც და ქართველიც), რომელიც აქედან დასავლეთ ევროპაში გადაყავდათ.²² უნგრელმა მკვლევარმა დასახელებული ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების გვერდით გამოავლინა უნგრული წარმოშობის ხალხიც და ამ თემას მიუძღვნა მონოგრაფია: „ტყვეებით ვაჭრობა თათართა ქვეყანაში და უნგრელები XIII-XV სს“.²³ წიგნში საუბარია აგრეთვე, უნგრელ - თათართა პოლიტიკურ, მისიონერულ და სხვა სახის კონტაქტებზე.

ნაშრომში მეცნიერი ძირითადად ეყრდნობა მ. ბალარდის, გ. ბრატიანის, რ. დელორტის, ვ. ჰეიდის, ჩ. ვერდინდერისა და სხვა უცხოელ ავტორთა ცნობებს, რომლებშიც უნგრელები მადიარების, მაჯარების ან მანიარების სახელით არიან ფიქსირებული შავი ზღვის ჩრდილო სანაპიროს კოლონიებში გასაყიდ ტყვეთა შორის და იხსენიებიან როგორც შავი ზღვის მხრიდან წარმოშობილი ხალხი. მასალის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ლ. ტარდი

გამორიცხავს უნგრელი ტყვეების აქ მოხვედრის შესაძლებლობას უნგრეთის ევროპული სახელმწიფოდან და მიაკუთვნებს მათ სამშობლოს ძებნის დროს სადღაც კავკასიაში დარჩენილ (მცხოვრებ) უნგრელ ეთნიკურ ჯგუფს.

რა თქმა უნდა, აღნიშნული ფაქტის მიხედვით ლ. ტარდის თვალსაზრისი ლოგიკურია: თუ XVII - XV სს. ტყვედ მოხვედრილი უნგრელები არ არიან ევროპელები და მოიხსენიებიან ჩერქეზებს, ჯიქებს, ალანებსა და ლეკებს შორის, ე.ი. მათ გარკვეულ ნაწილს კავკასიაში უნდა ეცხოვრათ.

მოგვიანებით უნგრელმა პროფესორმა გენუის სახელმწიფო არქივში მიაკვლია მეტად საინტერესო დოკუმენტს - 1310 წლით დათარიღებულ, იტალიურ ენაზე შედგენილ, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას, რომელშიც საუბარია 17 წლის გოგონას, კატერინას, „ეროვნებით მაიარის“ შესყიდვის შესახებ კაფას სავაქრო კოლონიაში.

ამ დოკუმენტის საფუძველზე დაწერილ სტატიაში²⁴ ლ. ტარდი პირველ რიგში ასაბუთებს ეთნიკური სახელების მაიარისა და მაჯარის იდენტურობას, აქედან გამომდინარე კი, ტყვე კატერინას უნგრელად მიიჩნევს. მისი დაკვირვებით, ეს ფაქტი ერთხელ კიდევ მიუთითებს უნგრელთა წინაპრების განსახლებაზე კავკასიაში.

მიუხედავად ამისა, დღეისათვის, არ ხერხდება კავკასიაში დარჩენილ უნგრელთა ეთნოსის დადგენა - დაზუსტება, მათი საცხოვრებელი ტერიტორიის ლოკალიზაცია. ლ. ტარდის აზრით, ჯერ კიდევ მრავალი მსგავსი დოკუმენტისა თუ სხვა სახის მასალის გაცნობაა საჭირო, რათა მეცნიერულად დამტკიცდეს და საბოლოო შუქი მოეფინოს შორეული საუკუნეებიდან მომავალ უნგრულ-კავკასიურ პრობლემას.

თუმცა, ლაიომ ტარდის ინტერესების სფეროს ძირითადად ისტორია წარმოადგენდა მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა უნგრულ - ქართული ლიტერატურული ურთიერთობის კვლევაშიც. მისი აზრით, ეს ურთიერთობები სამ პერიოდად შეიძლება დაყვით. „უპირველეს ყოვლისა, - წერს იგი, - თვალში გვხვდება თურქების შემოსევით განპირობებული ლიტერატურული ურთიერთმსგავსებანი, რომელშიც გადამწყვეტ ფაქტორს ოსმალ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის მიზანი შეადგინა. მეორე პერიოდი, ერთი მხრივ, ხასიათდება რუსეთის არმიაში უნგრული და ქართული მსუბუქი საკავალერიო პოლკების არსებობით, რომლებიც უკრაინის ტერიტორიაზე იყვნენ განლაგებულნი. მოგვიანებით, ამ ურთიერთობების, ძირითად შტრიხებს გვაწვდიან იმ უნგრულ მოგზაურთა შრომები, რომლებიც, თავიანთი სამშობლოს თავდა-პირველი ადგილსამყოფელის ძიებით გატაცებულნი, საქართველოს მიწა-წყალზე მოხვედრილან ჩვენი ხალხების ურთიერთობანი გასული საუკუნის შუა წლებიდან ახალ, მესამე პერიოდს ქმნიან და პირველ

რიგში ლიტერატურული ურთიერთობები ხასიათდებიან²⁵.

ქვეშარჩეული უნგრელი მეცნიერის ეს დაკვირვება, ვინაიდან საქართველოსა და უნგრეთს შორის, წმინდა ლიტერატურულ ურთიერთობებს მართლაც XIX საუკუნის შუა წლებიდან ჩაეყარა საფუძველი. გარდა ამისა, მეცნიერმა გამოავლინა და შეისწავლა ამ ორი ხალხის ლიტერატურული კონტაქტების ამსახველი მრავალი ახალი მასალა. უფრო მეტიც, მან პირველმა დაიწყო მეცნიერული კვლევა-ძიება აღნიშნულ სფეროში, რის შედეგადაც, დღეისათვის ცნობილი ფაქტების უმრავლესობა უნგრულ - ქართული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიაში ლაიოშ ტარდის მიერ არის შეტანილი სამეცნიერო ბრუნვაში. შემდეგში კი, სხვა დაინტერესებულმა მკვლევარებმა (ჯ. გაგნიძე, მ. სალაძე და სხვ.) ღრმად შეისწავლეს ზოგიერთი კონკრეტული საკითხი, რომლითაც უფრო მეტად გაფართოვდა და გამდიდრდა დასახვლებული თემა.

პირველ რიგში მეცნიერმა შეისწავლა XIX საუკუნის უნგრულ ლიტერატურაში ქართული თემის არსებობის საკითხი, რომელზეც ზოგადად უკვე ჰქონდა საუბარი: მიაკვლია 1888 წ. უნგრეთში დასტამბულ რეცენზიას არტურ ლაისტის მიერ თარგმნილ ქართული პოეზიის ანთოლოგიაზე, რომლიდანაც უნგრელი მკითხველი ქართული პოეზიის მრავალ გამოჩენილ წარმომადგენლის სახელს გაეცნო; გამოავლინა „სიბრძნე ბალავარისას“ უნგრული თარგმანი, რომელიც 1830 წელს გამოქვეყნდა ფურნალ „ტუდომანიოშ დიუტემენში“ და მიჩნეულია პირველ უნგრულ თარგმანად ქართული ენიდან. ლ. ტარდის ცნობით, შემდეგი ლიტერატურული ნაწარმოები, თარგმნილი ქართულიდან უნგრულად, არის ვინმე ქართველი თავადის შამშელაშვილის ლექსები. ლექსები უნგრულ ენაზე უთარგმნია გაბორ ცვაბიანს პროზად (ავტორის, ქართველი პოეტის სახელის დადგენა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა).

უნგრულ - ქართული ლიტერატურული ურთიერთობა განსაკუთრებულ განვითარებას მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში აღწევს. სწორედ აქედან იწყება ქართული მხატვრული ლიტერატურის ინტენ-სიური თარგმნა უნგრულ ენაზე, იწერება სტატიები ჩვენი პროზისა და პოეზიის შესახებ. არც ეს მომენტი დარჩენია მკვლევარს ყურადღების გარეშე: უნგრელმა სპეციალისტებმა თარგმნეს ქართული პოეზიის გენიოსების აკაკის, ილიას, ვაჟას ნაწარმოებები; 1955 წ. გამოცემული საბჭოთა პოეზიის ანთოლოგიის მეორე ტომი ქართულ პოეზიას მიეძღვნა; 1962 წ. უნგრეთში გამოცემულ მსოფლიო ლიტერატურის ანთოლოგიაში სხვა გამოჩენილ ავტორთა გვერდით უნგრელები გაეცნენ ბესიკის, ვახტანგ VI, გურამიშვილის, ბარათაშვილისა და სხვათა შემოქმედებას;

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში უნგრულად ითარგმნა გრ. აბაშიძის, ა. სულა-კაურის, მ. ქელიძის, ო. კილაძის, ნ. დუმბაძის და სხვ. თანამედროვე მწერლების ნაწარმოებები. ლაიოშ ტარდის კალამს ეკუთვნის აგრეთვე მოგონებები ცნობილ მწერლებზე კ. გამსახურდიაზე, გ. ქიქოძეზე, ი. ნონეშვილზე და სხვ.

ქართული საზოგადოებრიობის ნაცნობობა უნგრულ ლიტერატურასთან საუკუნის ბოლო წლებიდან დაიწყო. ლაიოშ ტარდიმ ამ მხრივაც გააშუქა ორი ხალხის ლიტერატურული კონტაქტები, ქართულ წყაროებში გამოვლინდა უნგრული სულიერი კულტურის ყველაზე ადრეული თარგმანები, კერძოდ: მორ იოკაის მოთხრობა „მშობლის გული“, რომლის თარგმანი ეკუთვნის ი. რევიშვილს და გაპოქევენდა „ღროებაში“ 1884 წელს; პეტრე უმიკაშვილის მიერ თარგმნილი უნგრული რომანისტის კალმან მიჩსატიის მოთხრობა „გლებმა ჩომაკმა როგორ იყიდა ცელი?“ (1898); 1904 წ. კ. ასათიანის უნგრულიდან გადმოქართულებული მისივე მოთხრობა „ნახევარ მშვილი“; XX საუკუნის დასაწყისში ი. ჭყონიას თარგმანი გამოჩენილი უნგრელი პოეტის იანოშ არანის პატრიოტული ხასიათის ლექსებისა „ჰა. რამდენი დაღუპულან“ და „ნატვრა უნგრელისა“ და სხვ.

გასული საუკუნის შუა ხანებიდან საქართველოს ეურნალ - განეთებში: „ივერიაში“, „კვალში“, „ცნობის ფურცელში“ და სხვ. სისტემატურად იბეჭდებოდა სტატიები უნგრელი ხალხის ისტორიული, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ამსახველ სხვადასხვა საკითხზე, რომლებიც მშვენიერი საზომია ქართველი საზოგადოებრიობის დიდი ინტერესისა უნგრეთისადმი.

შეკრიბა რა ეს მასალა, უნგრელმა მეცნიერმა ყურადღება გაამახვილა ერთ მნიშვნელოვან გარემოებაზე - XIX საუკუნის საქართველოს პროგრესული საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი გამოუწვევია უნგრეთის 1848 - 1849 წწ. რევოლუციას, რომელსაც სათავეში ედგნენ სახელგანთქმული პოლიტიკური მოღვაწე ლაიოშ კოშუტი (1802 - 1894) და დიდი პოეტი შანდორ პეტეფი (1823 - 1849). საგურამოში ილია ჭავჭავაძის სახლმუზეუმში დღესაც ინახება ლაიოშ კოშუტის პორტრეტი წარწერით: „არასოდეს ქეშნარიტებას ამ ქვეყნად ასე მძლავრად არ დაუქუხია“. აღსანიშნავია, რომ ეს ფაქტი ედო საფუძვლად ლ. ტარდის გამოსვლას ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე თბილისში (1987 წ. 21 ოქტომბერი), რომელიც გაზ. „კომუნისტმა“ გამოაქვეყნა რუბრიკით „შეხვედრა კოშუტთან საგურამოში“.

გარდა ამისა, ლ. ტარდიმ თავის ნაშრომში დაგვანახა ისიც, რომ უნგრეთის სახალხო-განმათავისუფლებელ მოძრაობას უთანაგრძობდნენ სხვა ქართველი მწერლებიც: დ. მიქელაძე, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი და სხვები. ამაზე

მეტყველებენ ქართულ ეურნალ-გაზეთებში მოთავსებული მრავალრიცხოვანი მასალები. მაგალითად, „გარეშე ხალხის“ საქმეებში ცარიზმის ჩარევის და თავისუფლების მოტრფიალე უნგრელების უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებას მწუხარებით აღნიშნავდა დავით მიქელაძე, როდესაც „ივერიის“ ფურცლებზე წერდა: „ამდენ ხანს გამარჯვებული ჰუნგარნი იძულებული შეიქმნენ დაეყარათ იარაღი ნიკოლოზ ხელმწიფის სარდლის წინაშე და ელიარათ თავი დამარცხებულად“-ო; ²⁷ ნიკო ნიკოლაძე კი ლ. კოშუტს ყველა ქვეყნისათვის სამაგალითო სახალხო გმირს უწოდებს და სანიმუშოს ხდის საკუთარი ერის ინტერესებისათვის. „როგორც ინგლისელი და ფრანგი, სხვა ცდილობს თავისი ქვეყნის სასარგებლო რამ გამოიკვლიოს კოშუტის წარსულში - წერდა იგი, - ისე ქართველმა საქართველოსათვის გამოსადეგი რამ უნდა ეძიოს შიგ“. ²⁸ უთანაგრძნობდა რა უნგრელ ხალხს დამარცხებაში, გიორგი წერეთელიც თავის სამშობლოსათვის გამოსადეგ გამოცდილებას პოულობდა. მისი თქმით, „უნგრეთის ეროვნული წარმატებები და კოშუტის მნიშვნელობა დიდი საინტერესო და კკუისმასწავლებელია“. ²⁹

ზემოთ მოყვანილი და სხვა მსგავსი ფაქტების საშუალებით ლ. ტარდომ ნათლად წარმოაჩინა ის დიდი ინტერესი და გამოძახილი უნგრეთისადმი, რომელიც ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში პირველად გამოაჩინა გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ქართულმა მწერლობამ. ასეთი მოვლენის წარმოშობა-თავისებურება კი იმაში მდგომარეობდა, რომ განმათავისუფლებლობის თვალსაჩინო წარმომადგენლები (ი. ჭავჭავაძე, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი და სხვ.) უნგრეთის რევოლუციურ გამოცდილებას და მის გმირებს ერთ-ერთ სამაგალითოდ მიიჩნევდნენ ქართველი ერის თანამედროვე და მომავალი ცხოვრების გათვალისწინებაში.

რადგან საუბარია უნგრეთის 1848-1849 წწ. ეროვნულ - განმათავისუფლებელ მოძრაობაზე, აქვე შევეხებით მასთან დაკავშირებულ საქართველო - უნგრეთის ურთიერთობის ამსახველ კიდევ ერთ ფაქტს, რომლის შესახებ საინტერესო გამოკვლევა გამოაქვეყნა ლაიომ ტარდომ და ეხება ქართველ ოფიცერს ალექსანდრე ბუჭკიაშვილს. ³⁰ საქმე ისაა, რომ 1849 წ. რუსეთის ცარიზმმა დახმარება გაუწია ავსტრიელ ჰამსბურგებს როგორც ავსტრიაში, ასევე უნგრეთში გაჩაღებული სახალხო - განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად, რაც გამოიხატა იმაში, რომ აპრილის თვეში პასკევიჩის 100 - ათასიანი არმია უნგრეთში შევიდა. ამ დროისათვის არმიის შემადგენლობაში, კერძოდ მე-15 საარტილერიო ბრიგადაში, მსახურობდა ახალგაზრდა ქართველი ოფიცერი ალექსანდრე ბეჟანის ძე ბუჭკიაშვილი (1825 - 1902), მას ბუჩკიევად ანდა ბუჩკიაშვილადაც მოიხსენიებენ.

ქართველი ოფიცერი უნგრეთში დამეგობრებია ერთ უნგრელ ბერს, რომელსაც მისთვის გაუცვნია რევოლუციის მიზნები და მოუწყვია შეხვედრა უნგრეთის რევოლუციის ბელად ლაიოშ კოშუტთან. კოშუტს ბუჟყიაშვილისათვის გაუცვნია რევოლუციის კრიტიკული მდგომარეობა, აუხსნია და დაუსაბუთებია ავსტრიელ მებატონეთა განადგურების აუცილებლობა. კოშუტის მგზნებარე სიტყვებს დიდი გავლენა მოუხდენია ქართველ ოფიცერზე და, მიუხედავად დიდი საშიშროებისა, თავისებურად დახმარებია უნგრელ ხალხს. მან სადილზე დაათრო გენერალი ლიდერსი და 10 საათით შეაჩერა პასკევიჩის არმიის ავანგარდის წინსვლა. გარდა ამისა, ა. ბუჟყიაშვილს ტყვეობიდან უხსნია ლაიოშ კოშუტი, უფრო მეტი, სიკვდილისაგანაც დაუხსნია უნგრეთის სახალხო გმირი.

ჩვენ ზემოთ ცალკე საუბარი გვქონდა საკითხების იმ წრეზე და მოსაზრებებზე, რომელთაც შეიცავენ ლაიოშ ტარდის ნაშრომები უნგრეთ - საქართველოს ნათესაური პრობლემისა და ლიტერატურული ურთიერთობების საკითხებზე. მეცნიერის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე მის მიერ უნგრეთისა და საქართველოს კულტურულ - ისტორიული კონტაქტების ამაახველი სხვა შინაარსის საინტერესო ფაქტების მიკვლევა - შესწავლა, რომელთა ამომწურავი გამჟღავნება დიდ ადგილს დაიკავებდა, ამასთანავე, მათი თემატური და ქრონოლოგიური არეალი მეტად ვრცელია. როგორც იტყვიან, „თემას ფაქტებით ვერ ამოწურავ“, ამიტომ შევეცდებით შედარებით მნიშვნელოვან საკითხებზე ყურადღების გამახვილებას.

ცნობილია, რომ საქართველო - უნგრეთის კულტურული ურთიერთობის დასაწყისი განეკუთვნება XVII ს. ბოლოსა და XVIII ს. იგი დაკავშირებულია უნგრელი მესტამბე სპეციალისტების (მიკლოშ კიშ ტოტფალუში, მიჰაი იშტვანოვიჩი) მეგობრულ დახმარებასთან საქართველოში პირველი ეროვნული სტამბის დაარსებაში. ეს საკითხი ფართოდაა გაშუქებული იმ მრავალრიცხოვან გამოკვლევებში, რომლებიც მეცნიერებმა მიუძღვნეს ქართული სტამბის დაარსებას და მასში მონაწილე დეაწლმოსილ პიროვნებებს. ლაიოშ ტარდიმ ანალი საინტერესო მასალებით გაამდიდრა საქართველოს ისტორიის ეს მონაკვეთიც, მიაკვლია მანამდე უცნობი ქართული შრიფტით ჯოვანი ბატისტა ბოდონის მიერ დაბეჭდილ ტექსტს, ხოლო 1978 წელს ქ. კოლოჟევარში მოიპოვა მ. კიშის მოწაფის შამუელ პაპ ტელეგდის სიტყვა თავისი მასწავლებლის ხსოვნისა და დამსახურების შესახებ. მეცნიერმა ამ დოკუმენტით კიდევ ერთხელ დაადასტურა ქართული შრიფტის დამზადებაში მიკლოშ კიშის მიერ გაწეული დეაწლი: „გვაოცებ, როგორც ასოთმკრელი, ასოთჩამომსხმელი და წიგნის ამწყობი. - ნათქვამია აღნიშნულ საბუთში - ...შორეული აზრის

საზღვართან მდებარე გმირმა საქართველომაც შენგან მიიღო ლითონში ჩამოსხმული ანბანი... შენ გადმონერგე შენს სამშობლოში კოლხური საწმისი. შენ გააღღვე გულგრილობის სქელი ყინული და ბრძნული გონებით ეხმარებოდი დედაენის განვითარებას“. 31

ამავე თემას მიეძღვნა უნგრელი პროფესორისა და გ. შარაძის ერთობლივი სტატია „ქართული სტამბის სათავეებთან“. 32 მასში მოყვანილია და გაანალიზებულია რ. დანის მიერ ამსტერდამში გამოვლენილი დოკუმენტი, რომელმაც რამდენიმე სიახლე გვიჩვენა არსებულ გამოკვლევებთან შედარებით. კერძოდ, ქართული სტამბის ისტორიკოსებს ხელთ არ ჰქონიათ მიკლოშ კიშის მიერ დამზადებული ნამდვილი ამსტერდამული ასომთავრული და ნუსხური შრიფტი და, რაც ყველაზე მთავარია, აქამდე უცნობი იყო კიშის მიერ მხედრული შრიფტის დამზადების ფაქტი.

უნგრულ - ქართული ისტორიული კონტაქტებსა და ციების დროს საქართველოს სიძველეთსაცავებში ლაიოშ ტარდიმ გამოავლინა სრულიად უცნობი, საინტერესო მასალები XIX ს. დასაწყისში ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები უნგრელი სპეციალისტის სამუელ მარტინის შესახებ, რომელსაც დიდი წარმატებებისათვის მიუღწევია საქართველოში მევენახეობა-მელვინეობის განვითარების საქმეში.

ასეთ ფაქტზე მიუთითებს საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცული და „კავკასიაში საარქიოგრაფიო კომისიის“ მიერ შეკრებილ-გამოკვლულ აქტებში არსებული ზოგიერთი მასალა. მათი საშუალებით ლაიოშ ტარდიმ შესაძლებელი გახდა ს. მარტინის პროვინციის შედარებით სრულიად წარმოჩენა და მისი საქართველოში მოღვაწეობის გარკვეული პერიოდის შესწავლა. 33

ვინმე ეპისკოპოს შაკაბენტის მიერ 1802 წ. დაწერილი ს. მარტინის დახასიათება - წერილებიდან გამოიკვია რომ იგი არა მხოლოდ მელვინე-მევენახეობის სპეციალისტი ყოფილა, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ფილოსოფიისა და თეოლოგიის პროფესორი, ამასთანავე ერთად მოიხსენიება ცნობილ თავადად.

აღნიშნული დოკუმენტები, რომლებშიც მოკვლეულია ზუსტი თარიღები. ნებას აძლევს ლაიოშ ტარდის განსაზღვროს ს. მარტინის საქართველოში ცხოვრებისა და მოღვაწეობის ერთი გარკვეული დრო და ადგილი. ს. მარტინი საქართველოში ჩამოსვლისთანავე (1803 წ.) სამეგრელოში მოხვედრილა და უკისრია სამეგრელოს მთავრის გრიგოლ დადიანის შვილის აღზრდა, სადაც მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში დარჩენილა. ამის შემდეგ, 1805 წლიდან, მას ვხვდებით თბილისის კეთილშობილურ სასწავლებელში გერმანულისა და ლათინური ენების მასწავლებლად. 1806 წ. შემოდგომაზე პროფესორმა ს. მარტინიმ იმოგზაურა თელავისა და

საზღაპრის მაზრებში იმ მიზნით, რომ მოენახულებინა ვენახები, დაეყენებინა ღვინო უნგრული წესით და შეესწავლა ქართული მეღვინეობა - მევენახეობა. მას ღვინის დაყენებისა და ვენახის მოვლა-პატრონობაში ღრმა ცოდნა და ნიჭი გამოუვლენია. ლაიოშ ტარდის აზრით, მან პირველმა დაიწყო კახეთში ევროპული წესით ღვინის დაყენება და სხვა ძრავალი მოკრძალებული წვლილი შეიტანა ქართული მევენახეობა - მეღვინეობის განვითარების საქმეში.

უნდა ვახსენოთ აგრეთვე ლაიოშ ტარდის მიერ ცალკე წერილის სახით გამოქვეყნებული ნარკვევი უნგრეთში ქართველოლოგიის „პიონერის“ ოსკარ აშბოტის შესახებ. ³⁴ მასზეც მკვლევარმა საინტერესო მასალები გამოავლინა საქართველოში, კერძოდ: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში ოსკარ აშბოტის მიმოწერა ცნობილ ქართველ მეცნიერთან ალექსანდრე ხაზანაშვილთან და ოსკარ აშბოტის ქართველოლოგიური მოღვაწეობის შესახებ გამოქვეყნებული ცნობა გაზ. „ივერიის“ ფურცლებზე.

როგორც ამ მასალებიდან გამოირკვა, ოსკარ აშბოტი ინტენსიურად მოღვაწეობდა ქართველოლოგიაში, ხოლო რაც შეეხება მის მიღწევებს ამ დარგში, ცნობილია მხოლოდ შემდეგი ფაქტები: გერმანელ მეცნიერს ადოლფ დირს მის მიერ შედგენილი და ევროპაში პირველად გამოცემული ქართული გრამატიკის სახელმძღვანელო საკორექტუროდ გადაუცია ო. აშბოტისათვის. მას ეს მოვალეობა ბრწყინვალედ შეუსრულებია, რაზედაც წიგნის ავტორი შესავალ ნაწილში დიდ მადლობას უხდის და დასძენს: „ოსკარ აშბოტი სლავისტიკის გარდა კარგი ქართველოლოგიც არის“-ო. ა. დირის თქმით, ო. აშბოტს გააჩნდა მდიდარი ქართველოლოგიური მასალა, რომელიც შემდგომ განადგურებულა.

ამით შეგვეძლო დაგვემთავრებინა იმ ძირითადი მასალებისა და საკითხების მიწილილვა, რომლებზეც მოუხდა ლაიოშ ტარდის მუშაობა ქართველოლოგიის დარგში, მაგრამ დაგვჩაჩა მისი მდიდარი მოღვაწეობის მთავარი, ფუნდამენტური ნაშრომის განხილვა. იგი იმსახურებს ფართო ადგილს და გვინდა ცალკე შევებოთ. აღარ გამოვუდგებით სხვა მცირე ნაშრომების ჩამოთვლას, რომლებაც ლაიოშ ტარდი ინტენსიურად აქვეყნებდა საქართველოსა და უნგრეთის ისტორიის, ამ ორი ქვეყნის ურთიერთობების შესახებ, მეტადრე ასეთი ნაშრომების არსენალი საგრძობლად დიდია.

რადესაც საუბარი ჩამოვარდება ხოლმე ლაიოშ ტარდის ქართველოლოგიურ ღვაწლზე, თითქმის ყველა, სტატიის ავტორი იქნება ეს თუ რეცენზენტი, მისი მეგობარი თუ ნაცნობი, განსაკუთრებით უსვავს ხაზს უნგრელი მეცნიერის მიერ დისერტაციის დაცვის ფაქტს

თბილისში. მართლაც, ეს იყო ერთ-ერთი უნიკალური შემთხვევა, როდესაც 1973 წელს, მაისში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე უცხოელმა მკვლევარმა წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „შუაევროპული საზოგადოებრივი აზრი საქართველოზე და უზგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში“.

რა თქმა უნდა, აღსანიშნავი და განსაკუთრებით მისასალმებელია ასეთი შემთხვევა, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ეს ფუნდამენტური ნაშრომი ნაყოფია მრავალი წლის დაძაბული და ინტენსიური კვლევის, შესანიშნავი მეცნიერული აღდოსი, ფართო ერუდიციის, მრავალი ენების ცოდნის, ორივე ქვეყნის სიყვარულის და ა.შ., რომელიც დაიწერა უზგრულ, გერმანულ, ლათინურ, იტალიურ, ფრანგულ, ინგლისურ, ესპანურ და პორტუგალიურ ენებზე არსებული მანამდე უცნობი პირველწყაროების, საარქივო და საბიბლიოთეკო მასალების საფუძველზე. ვიდრე ამ ნაშრომის ძირითად მიზანზე და შინაარსზე გადავიდოდეთ, შევნიშნავთ, რომ დისერტაციის ხელნაწერი შეიცავს 559 გვერდს, ხოლო 1980 წ. ცალკე წიგნად გამოცემული მისი ქართული ვარიანტი, სამწუხაროდ, თითქმის ნახევრად შემოკლებულია.

რაკი სიტყვა დისერტაციის დაცვას ეხება აქვე დავსახელებთ მის ოპონენტებსაც, პროფესორებს: ე. ნიდერჰაუზერს, ზ. ანჩაბაძეს, ი. ტაბალუას და გ. პაიჭაძეს, რომლებმაც მაღალი შეფასება მისცეს უზგრელი ისტორიკოსის გამოკვლევას. მაგალითად, უზგრელი ისტორიკოსი, პროფესორი ე. ნიდერჰაუზერი აღნიშნავდა: „ლაიოშ ტარდის კვლევითი საქმიანობის დიდი ღირსება - ამას კი განსაკუთრებით აფასებენ უზგრელი ისტორიკოსები - იმაში მდგომარეობს, რომ, ითვალისწინებს რა ფართო ურთიერთკავშირებს, მის ჩარჩოებში მოჰყავს ძალზე გულდასმით, დეტალური გამოძიება, ყურადღებას უთმობს ყველაზე წვრილმან მონაცემებსაც კი, სწავლობს მრავალრიცხოვან წყაროებს, რათა მოქმედოს თავისი თემისათვის მნიშვნელოვანი ერთი ან ორი მონაცემი. იფარგლება თითქმის ასკეტური დისციპლინით, რათა თქვას მხოლოდ ახალი და არ დაკარგოს დრო უკვე სხვის მიერ განხილული მასალის გადმოსაცემად.“³⁵ პროფესორ ზ. ანჩაბაძის აზრით, ლაიოშ ტარდის დისერტაციას მრავალი დადებითი ღირსება გააჩნია: „მდიდარია მისი წყაროთმცოდნეობითი ბაზა - პირველწყაროების გამოსავლენად ავტორს გაუწევია უდიდესი შრომატევადი სამუშაო ევროპის არქივებსა და ბიბლიოთეკებში, რის საფუძველზეც გამოუვლენია უძვირფასესი მასალები საქართველოს ისტორიისათვის, რომლებიც დღემდე უცნობი და ხელმიუწვდომელი იყო მკვლევარებისათვის.“³⁶

სადისერტაციო ნაშრომში ლაიოშ ტარდომ ძირითად მიზნად დაისახა შუაევროპული (პირველ რიგში უნგრული) წყაროების საფუძველზე ეჩვენებინა, თუ როგორ წარმოედგინა ამ ქვეყნების საზოგადოებრიობას საქართველო, მისი ხალხი და ბრძოლა გარეშე მტრის წინააღმდეგ. ამ მიზნის მეცნიერული მნიშვნელობა და აქტუალობა კი განისაზღვრა შემდეგი მდგომარეობით: მეცნიერებაში განმტკიცებული იყო აზრი, თითქოს ევროპაში ძალზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ შუა საუკუნეების საქართველოზე, რომელსაც მიიჩნევდნენ შორეულ და იდუმალ ქვეყნად, თითქოს მას იქ უმთავრესად იცნობდნენ მხოლოდ „ოქროს ხანით“ ან ერეკლეს ეპოქით. ლაიოშ ტარდომ გააქარწყლა ეს შეხედულება და დაამტკიცა, რომ საქართველო, როგორც მნიშვნელოვანი პოლიტიკური ერთეული და უძველესი კულტურის მქონე ქვეყანა, განუწყვეტლივ, ნებისმიერ ეპოქაში დომინირებდა ევროპის სახელმწიფოთა ცხოვრებაში. ლაიოშ ტარდის თქმით: „XVI საუკუნის ბოლოს მოხდა ძირეული ცვლილებები შუაევროპის საზოგადოებრივ აზრში საქართველოს შესახებ. იგი ამადლდა როგორც ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლი შუაევროპის ქვეყნების ძლიერი და საიმედო თანამებრძოლი ქვეყანა“.³⁷ ავტორის ეს დასკვნა მართლაც ახალ სიტყვას წარმოადგენდა ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ნაშრომის შესავალ ნაწილში ნაჩვენებია უნგრეთისა და საქართველოს ისტორიული ბედის ანალოგია, მიმოხალულია შუაევროპული საზოგადოებრივი აზრი საქართველოს შესახებ XIII - XV საუკუნეებში და უნგრელების ქართველებთან პირადი კონტაქტები.

ეხება რა ევროპის საზოგადოებრივი აზრის ფორმირების საკითხს საქართველოს შესახებ, ლაიოშ ტარდი აღნიშნავს, რომ აღორძინების ეპოქაში, როდესაც ახალი ძალით გამოვლინდა ინტერესი სტრაბონის, პეროდოტეს, პტოლემეუსისა და სხვათა ნაშრომების მიმართ, ევროპის ჰუმანურ წრეებს გარკვეული წარმოდგენა ჰქონდათ კოლხეთზე, იბერიაზე და საქართველოზე, თუმცა, ეპოქის შესაბამისად, ამ ავტორების ტექსტებს ბევრ გამონაგონსაც მიაწერდნენ ხოლმე.

უნგრელი მეცნიერის დაკვირვებით, იმდროინდელმა შუაევროპულმა საზოგადოებრიობამ, დამატებითი ცნობები საქართველოს შესახებ მიიღო იაკობუს ვიტრიაკუსის ნაწარმოებების მეშვეობით, რომლებიც, მისი აზრით, წარმოადგენს შუასაუკუნეების ევროპის მიერ საქართველოს გაცნობის დასაწყის ეტაპს. ერთი მხრივ, ლაიოშ ტარდი არაფერს აშბობს ამ პიროვნების შესახებ, თუ ვინ იყო იგი, რა ხასიათის ცნობებია მოცემული საქართველოზე მის ნაწარმოებებში და ა.შ., რაც, რა თქმა უნდა, უფრო საინტერესოდ და შინაარსიანად წარმოადგენდა ამ საკითხს.

ლაიოშ ტარდის სამართლიანი შეხედულებით

უნგრეთსაც და საქართველოსაც მუდმივი საშიშროება ემუქრებოდა საერთო ბერძნულ-ოსმალეთის იმპერიისაგან, რომელმაც (ე.ი. ამ საფრთხემ) განაპირობა საქართველო - უნგრეთის დაახლოება. „ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთკავშირის მნიშვნელობა კარგად ესმოდათ როგორც უნგრეთში, ისე ვენის მმართველ წრეებშიც, - აღნიშნავს მეცნიერი, - აგრეთვე იმათაც, ვინც იხილავდა უნგრეთის საქმეებს ჰამბურგის იმპერიაში. თუ თურქები დიდ წარმატებას აღწევდნენ აღმოსავლეთის ფრონტზე, ეს ნიშნავდა, რომ მათთვის ბელსაყრელი ზავის დადებით შემდეგ ისინი თავიანთ ძალებს მიმართავდნენ უნგრეთისაკენ. ასევე, თუ თურქები განიცდიდნენ მარცხს აღმოსავლეთის ფრონტზე, უნგრეთში უკვე იცოდნენ, რომ მათი ქვეყანა მოკლე ან ხანგრძლივი დროით თავისუფალი იყო საომარი მოქმედების ფრონტად გადაქცევისაგან“.³⁸

თავისებურ შესავლის ხასიათს ატარებს ნაშრომის პირველი თავი, რომელშიც საუბარია უნგრეთ-საქართველოს კონტაქტებზე XVI საუკუნემდე. მასში მოტანილი ფაქტების დიდი ნაწილი ჩვენ უკვე მიმოვიხილეთ იქ, სადაც საუბარია გვქონდა უნგრელი მეცნიერის ცალკეულ ნაშრომებზე, რამეთუ ამ ფაქტების უმეტესობამ შემდეგში ასახვა პოვა წინამდებარე დისერტაციაში.

შევიხრებით მხოლოდ ერთ მომენტზე, რომელიც დაკავშირებულია უნგრელებისა და ქართველების პირველ კონტაქტთან - გაცნობასთან; ლაიოშ ტარდის აზრით იგი შეიძლება მომადარიყო ჯვაროსნულ ლაშქრობებში მათი მონაწილეობის მიღებისას, უნგრეთის მეფის ანდრას-II დროს (1205—1235).

1217 წ. უნგრეთის მეფე გამგზავრებულია აღმოსავლეთისაკენ, რათა მონაწილეობა მიეღო ჯვაროსანთა ბრძოლებში, მაგრამ 1218 წ. ზაფხულში ისევ უკან დაბრუნებულა. მას იქ დაუტოვებია ლაშქრის ერთი ნაწილი, რომელსაც დამიეტის ომსა და სამხედრო ოპერაციებში აქტიურად უბრძოლია.

სწორედ იმ დროის ერთ-ერთ ევროპულ მატჩანეში დაცულია ცნობა იმის შესახებ, რომ დამიეტის აღების შემდეგ 1220 წ. რომის პაპს პონციუს II-ს გაუგზავნია წერილი და ელჩები „ქართველთა ქვეყანაში, სადაც არიან კაცნი მართლმორწმუნენი, ძლიერნი ომში, და თხოვდა მათ, რათა თავის მხრიდან ომი დაეწყოთ სარკინოზთა წინააღმდეგ“. ქართველებს განუზრახავთ ჯვაროსანთა ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება. როგორც მთავარაშვილი გადმოგვცემს, მათ 1220 წ., ფრანგებისაგან დამიეტის აღების შემდეგ, წიგნი (წერილი) მიუწერიათ დასავლეთის ჯვაროსნებისათვის და აღუთქვავთ, რომ არ ჩამორჩებოდნენ ევროპელებს პალესტინის განთავისუფლებაში.³⁹ მაგრამ 1221 წ. საქართველოს საზღვრებს პირველად მოადგნენ მონღოლთა

პრავალრიცხოვანი ჯარები, ამიტომ გასაგები სდება მთელი გეგმის ჩაშლა: „მათ (მონღოლებმა-რ.ხ.) სავსებით მიიპყრეს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკის მესვეურთა გულისყური“. 40

ამ პერიოდში უნგრეთისა და საქართველოს განმგებლებს შორის, როგორც ლ. ტარდი აღნიშნავს, უშუალოდ დამყარებულა კავშირი. იგი დამიენტთან უნგრელების ბრძოლის დროს ქართველ მებრძოლთა მცირე ჯგუფის ყოფნის შესახებ არსებული ცნობების (იმოწმებს მ. თამარაშვილსა და ა. მანველაშვილს) საფუძველზე შესაძლებლად მიიჩნევს დამიენტთან ქართველ - უნგრელთა შეხვედრას.

ცნობილია, რომ სწორედ XVI საუკუნიდან დაიწყო ხანგრძლივი სისხლისმღვრელი ომები აღმოსავლეთში ბატონობისათვის ირანსა და ოსმალეთს შორის. ბუნებრივია, ეს ორი სახელმწიფო ყველანაირად ეცდებოდა ჩვენი ქვეყნის დამორჩილებას და აქ გაბატონებას, მაგრამ ქართველი ხალხი მდგრად წინააღმდეგობას უწევდა მათ და უთანასწორო ბრძოლაში ხშირად დამარცხებული ცდილობდა დახმარება მიეღო ქრისტიანული სახელმწიფოებიდან.

როგორც აღინიშნა, უნგრელები დიდად იყვნენ დაინტერესებული ამ ომებით, რადგან ეს ომები ასუსტებდა ოსმალეთის აგრესიას მათ მიმართ. ამიტომ, ევროპელ პოლიტიკურ მოღვაწეებთან და დიპლომატებთან ერთად ისინიც ყურადღებით ადევნებდნენ თვალს ირან - ოსმალეთის ომის შავლელობას და ამ ომებში საქართველოს მონაწილეობას. ყოველივე ამას თვალნათლივ ადასტურებს უნგრელი მკვლევარის მიერ დისერტაციაში მოტანილი მასალები. მას გამოყენებული აქვს კონსტანტინოპოლში მყოფი ელჩებისა თუ მათ საშაბაურში მყოფი „კონფიდენტების“ მიერ შედგენილი მოხსენებითი ბარათები აღმოსავლეთში მომხდარ ამბებზე, კერძოდ „სპარსეთის ომების“ შესახებ, რომელთა შესწავლას შედეგად უნგრელი მეცნიერი დარწმუნებულია, „რომ ეს სპარსული ომები“ უფრო „ქართული ომები“ იყო. სწორედ ქართველები უშკლავდებოდნენ ორ დიდ იმპერიას“.

ნაშრომში დეტალურადაა შესწავლილი ანტიოსმალური კოალიციების შექმნის მცდელობები და მასში უნგრელ-ქართველთა მონაწილეობის მიღება. ლაიოშ ტარდის ვარაუდით, 1438 - 1439 წწ. ფერარასა და ფლორენციის საეკლესიო ყრილობებზე, რომლებზედაც იბილებოდა ანტიოსმალური ლიგის შექმნის საკითხი, ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოსა და უნგრეთის წარმომადგენლებიც, ხოლო პაპ ბიუს II-ის ანტიოსმალური კოალიციას შექმნის ცდის დროს, 1458 წელს, უნგრეთში იასულან ქართველი ელჩები, სადაც უწარმოებიათ მოლაპარაკება ამ კოალიციაში უნგრეთის მონაწილეობის თაობაზე, ხელახალი ანტიოსმალური კოალიციის შექმნი-

სათვის კი, 1474 წელს, საქართველოში ჩამოსულა უნგრელი დიპლომატი იოჰან უნგარეტო. 41

ლაიოშ ტარდიმ დიდი ადგილი დიუთმო ევროპელი მწერლების, მოგზაურების, დიპლომატების, მეცნიერების და ა.შ. შრომებს, რომლებშიც მოიპოვება საინტერესო ცნობები საქართველოს შესახებ. ესენი იყვნენ: ჰანს ლევენ კლაუსი (1533 - 1593), იოჰიმ ვატი (1476 - 1551), იოჰან პონტერი (1493 - 1549), ბართლომეი გეორგევიჩი (1510 - 1557), ანთალ ვერანჩიჩი (1564 - 1573), აუგერიუს ბუსბეკი (1522 - 1592), ვერნერ ჰაპელი (1647 - 1690) და სხვ.

მათი დაინტერესება საქართველოთი ძირითადად განპირობებული იყო პოლიტიკური ინტერესებით, კერძოდ კი, ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის საკითხით. როგორც ამ ავტორთა ნაშრომებიდან ჩანს, მიუხედავად ანტიოსმალური ლიგების შექმნის მრავალ გზის ჩაშლისა, კვლავ მიმდინარეობდა ცდები ასეთი წრეების შესაქმნელად უნგრეთის, საქართველოს, სპარსეთის და სხვათა შემადგენლობით. ერთ-ერთი მათგანი გადმოგვცემს: „ჯერ თვეც არ არის გასული რაც მოვიდა ახალი ცნობები ადგილზე მომხდარი ამბების შესახებ. ერთ მათგანში მოთხრობილია, რომ სპარსეთის შაჰმა ელჩი გაუგზავნა მის უდიდებულესობას უნგრეთის მეფეს თურქების წინააღმდეგ ომის დაწყების თაობაზე, და რომ იგი ძალე დიდი საშხედრო ძალებით გავა მეორე მხარეზე“. 42

ამავე ავტორების მიერ გამოქვეყნებული მასალებით და ვენაში დაცული საარქივო დოკუმენტებით ლ. ტარდიმ შესძლო გაერკვია უნგრეთის მეფის ფერდინანდის მიერ სპარსეთსა და საქართველოში დიპლომატიური მისიით გაგზავნილი ორი ელჩის პეტრო დე ნეგროს და სიმონ დე ლილისის საქმიანობა.

სიმონ დე ლილისი დოკუმენტებში იხსენიებს კახეთის მეფე ლევანს. მისი გადმოცემის თანახმად, უნგრეთის მეფის წარგზავნილები კახეთის მეფეს კარგად მიუღია. როცა ელჩებისაგან შეუტყვია უნგრეთის მზადება თურქებთან საომრად, ლევანს თავის ძხრივ აღუთქვამს მთელი ტრაპეზუნდის ოსმალთა წინააღმდეგ ფეხზე დაყენება. ლაიოშ ტარდი ხაზს უსვამს, რომ უნგრელი ელჩების ქობსენებებში კახეთის მეფე ლევანი ფიგურირებულია როგორც „გეორგიის მეფე“ ანუ „იმპერატორი გეორგიანი“. 43

განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს უნგრელი მკვლევარი ბართლომეი გეორგიევიჩის ნაშრომებს, ვინაიდან იგი უფრო მკვეთრად გამოხატავს იდეას თურქეთის წინააღმდეგ საყოველთაო გაერთიანების შესახებ. მისი აზრით, „გაცილებით ადვილია კონსტანტინოპოლისაკენ მიმავალი საშხედრო მანქანების დუნაზე გატარება, ვიდრე ამ მიდინარის დინების საპირისპიროდ, როგორც ეს თურქებმა გააკეთეს ვენის ალყის დროს. მაგრამ თუ ანას შეიტყობენ სპარსელები,

მაშინ ისინი მეორე მხრიდან მოვლენ კონსტანტინოპოლამდე. ამ ომის გარეშე არ დარჩება არც რუსეთი და არც საქართველო, რომელთა მეფენიც ისეთივე ძლიერნი არიან, როგორც სიძლიერითაც სძულთ თურქები“. 44 ამასთანავე საინტერესოა ბართლომეის ერთი ცნობაც, სადაც მიუთითებს, რომ სხვა მლოცველებთან ერთად იერუსალიმში ხშირად ჩამოდიან ქართველები და იქ საკმაო ხანს რჩებიან. 45

ნაშრომში ცალკე თავი აქვს დათმობილი უნგრეთის ისტორიოგრაფიის გამოჩენილი წარმომადგენლის, პოეტისა და სახელმწიფო მოღვაწის ანთალ ვერანჩიჩის ცნობები ჩვენი ქვეყნის შესახებ. იგი პირველი უნგრელი ისტორიოგრაფია, რომელიც ამიერკავკასიის ქვეყნებით დაინტერესდა და საქართველოსაც მიაქცია ყურადღება.

კონსტანტინოპოლში ელჩად ყოფნის დროს ა. ვერანჩიჩი საკმაოდ მდიდარ ინფორმაციას ღებულობდა სხვადასხვა ქვეყნების შესახებ. თავის ცოდნას საქართველოზე იგი ავსებდა არა მარტო წიგნებიდან, არამედ კონსტანტინოპოლში მცხოვრებ ყველა ფენის წარმომადგენლებისაგან.

1857 - 1875 წწ. უნგრეთში 12 ტომად გამოიცა მისი ნაშრომები, რომლის III და IV ტომებში - მეფისა და სხვა სახელმწიფო მოღვაწეებისადმი წარდგენილ მოსყენებებსა და ანგარიშებში - საუბარია საქართველოს შესახებ. მასში საუბარია სხვადასხვა ქართულ მიწებზე, სამეფო სამთავროებზე. ანთალ ვერანჩიჩის დაკვირვებით „ქართველებიცა და უნგრელებიც ცდილობდნენ ყოველი ღონე ეხმარათ ამ ორი დიდ ისლამურ სახელმწიფოს (ირანსა და ოსმალეთს - რ.ხ.) შორის არსებული დაძაბულობის შესანარჩუნებლად, რათა არ მისცემოდათ მათ მოსაზღვრე ქვეყანაზე გალაშქრების საშუალება“. 46 საინტერესოა აგრეთვე მისი ცნობები 1955 წ. ამასიის ხელშეკრულების, სტამბოლში სამეგრელოს მთავარ ლევან I დადიანის ჩასვლის შესახებ და სხვა.

როგორც უკვე ითქვა, ლაიოშ ტარდის არქივებსა და ბიბლიოთეკებში მუშაობის დროს უამრავი მასალის შესწავლა მოუხდა. მათ შორის მნიშვნელოვანია ხელნაწერი გაზეთები, რომლებსაც უშვებდნენ შუა ევროპის ქვეყნების უმსხვილესი საჯარო სახლები, აუსბურგის დინასტიის ფიუგერები. ამ ორგანოთა მიზანი იყო ევროპისათვის ყველაზე ადრე მიეწოდებინათ ესა თუ ის მნიშვნელოვანი ამბავი. მათ ჰყავდათ თავიანთი კორესპონდენტები მსხვილ საჯარო ცენტრებში, მომქმედ ჯარშიც და ა.შ., რომლებიც სისტემატურად აცნობებდნენ აუსბურგის ცენტრს ახალახალ ამბებს.

განიხილავს რა ფიუგერების საგაზეთო მასალებს, ლაიოშ ტარდი აღნიშნავს, რომ საქართველოსთან დაკავშირებით მასში ძირითადი ყურადღება მიმართულია თურქებთან ბრძოლის საკითხებზე. ამავე მასალებიდან ჩანს, თუ როგორი სასიხარულო და სასიკეთო იმედის მიმცემი

იყო შუა ევროპის ქვეყნებისათვის ქართველთა წარმატებების მოპოვება ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ცალკე თავი, რომლითაც ამთავრებს ლ. ტარდი თავის ნაშრომს, ეძღვნება ქართლის მეფის სიმონ I-ის საგარეო პოლიტიკას და დიპლომატიურ მოღვაწეობას. ავტორის დაკვირვებით სწორედ სიმონ მეფის სამხედრო ნიჭი და საომარი გამოცდილება იყო ერთ-ერთი დიდი იმედის მიმცემი შუა ევროპის სახელმწიფოებისათვის „რომლებიც სისხლხორცეულად იყვნენ დაინტერესებულნი ოტომანთა იმპერიის დასუსტებით“. ⁴⁷ ამასთანავე ნაჩვენებია ოსმალეთის მთავრობის მცდელობა როგორმე განხეთქილება შეეტანა მის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში. ნაშრომში მოტანილია ახალი ცნობები დაუთხანის /სიმონ მეფის ძმის/ 1585 წელს სტამბოლში ჩასვლასთან დაკავშირებით. სულთან მურად III განსაკუთრებული პატივით მიუღია დაუთხანი, რომლისთვისაც ქართლში სიმონის მამულები უბოძებია და საქართველოში თავისი ძმის სიმონის წინააღმდეგ საომრად გაუსტუმრებია. აქვეა განხილული ზოგიერთი ევროპულ სახელმწიფოს მეთაურის - იმპერატორ რუდოლფის, მეფე იშტვან ბატარის და ტრანსილვანიის მმართველის ყიგმონდ ბატარის - ცდები დაემყარებინათ კონტაქტები საქართველოს მესვეურებთან, რათა ჩაებათ ისინი /აგრეთვე რუსები/ ანტიოსმალურ კოალიციებში მონაწილეობის მისაღებად.

ლაიოშ ტარდი ამახვილებს ყურადღებას სიმონ მეფის, ალექსანდრე კახეთის მეფის და შაჰ - აბას I შირის 1595 წ. დადებულ სამთა კავშირზე, რომელიც მიმართული იყო ოსმალეთის წინააღმდეგ. ამ კავშირის მონაწილეებს თავისი ელჩი გაუგზავნიათ ევროპაში, გაუტანებიათ წერილი და მოუწოდებდნენ ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. მარაალია, ამ საკითხს არაერთი ქართველი ისტორიკოსი შეხებია / მ. თამარაშვილი, ნ. ბერძენიშვილი და სხვ. /; მაგრამ უნგრელ მკვლევარს შესწავლილი აქვს დამატებითი ახალი მასალები. ვენეციის არქივში ლ. ტარდომ გამოავლინა სიმონ მეფის მანამდე უცნობი წერილი, გაგზავნილი ვენეციის რესპუბლიკის დიდი საბჭოსადმი, რომელიც დათარიღებულია 1596 წ. 6 მაისით და დაწერილია ბერძნულად, აქვს სიმონ მეფის ხელმოწერა და ბეჭედი. „მე, - ვკითხულობთ ამ დოკუმენტში, - დვთის წყალობით აღწევებული მეფე ქართლისა და მთელი იბერიისა - სიმონი, მოგმართავთ თქვენს უძლიერეს და სახელგანთქმულ ქალაქის ვენეციის გამგებელთ ოსოვნით, რომ წმინდა მამის — რომის პაპის მიერ ჩვენთან გამოგზავნილ სასულიერო პირს, ეროვნებით სომეხს, მამა იაკობს პატივიცემი ვისტუმრებთ უკან რომში დასაბრუნებლად, მოგმართავთ ოსოვნით, რათა დახმარება აღმოუჩინოთ მას და მისცეთ მეგზური რომში გასაცილებლად“. ⁴⁸

როგორც ჩანს, სიმონი თავს მთელი საქართველოს მეფედ თვლიდა. აღსანიშნავია, რომ უნგრელმა მეცნიერმა ამ წერილის ასლი გადასცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს.

ნაშრომში ყურადღებას იქცევს ლ. ტარდის ერთი დაკვირვებაც. 1590 წელს თურქეთ - სპარსეთის საზავო ხელშეკრულების არსებობის მიუხედავად ფიუგერების განთქმაში, იმპერიის დიპლომატიურ მიწერ - მოწერებსა და საერთოდ ყოველგვარ დოკუმენტებში საერთაშორისო სამართლის წესების თანახმად საქართველო იხსენიება როგორც დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო.

ასეთია ლ. ტარდის ამ მონოგრაფიის ძირითადი შინაასრი და დებულებები. იგი, როგორც ზემოთაც ითქვა, დისერტაციის დაცვის დროს დადებითად იქნა შეფასებული ოფიციალური თუ არაოფიციალური ოპონენტების მიერ, ხოლო, როდესაც გამოქვეყნდა ცალკე წიგნად, ქართულ პრესაში დაიბეჭდა მისდამი მიძღვნილი დადებითი ხასიათის რეცენზიები. ორივე შემთხვევაში რეცენზენტები აღნიშნავენ მცირე ნაკლოვანებებს, რომლებზეც აღარ ვამახვილებთ ყურადღებას, ვინაიდან ისინი ძირითადად უმნიშვნელო უსუსტობებს და ზოგიერთი ფაქტობრივი ხასიათის შეცდომას შეეხებოდნენ.

ყურადღებას იპყრობს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ჯ. ოდიშელის ერთი, ჩვენი აზრით სამართლიანი შენიშვნა, რომელიც გამოითქვა დისერტაციის სააუტორის მისამართით. ქართველი რეცენზენტის თქმით, ეჭვს იწვევს XVI საუკუნის შუა ევროპაში საზოგადოებრივი აზრის არსებობა ამა თუ იმ საკითხზე, მათ შორის საქართველოზე. იბადება კითხვა, თუ რა იგულისხმება საზოგადოებრივ აზრში და ა. შ. ჯ. ოდიშელი მიიჩნევს, რომ ნაშრომს სათაურად უფრო შეეფერებოდა „ცნობები საქართველოს შესახებ XVI საუკუნის შუა ევროპაში“. ეს და სხვა მცირე შენიშვნები ოდნავადაც არ ამკირებდნენ უნგრელი მკვლევარის მიერ გაწეული შრომის მაღალ ღირებულებას.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, ლაიოშ ტარდის გააჩნია მრავალრიცხოვანი ქართველოლოგიური შრომები, რომლებიც ღრმა ერუდიციით და გულმოდგინებითაა დაწერილი. ამით მან დიდი წვლილი შეიტანა ქართული ისტორიოგრაფიის, კერძოდ კი, ევროპული ქართველოლოგიის განვითარებაში, კიდევ ერთხელ მოახერხა ჩვენი ქვეყნის ისტორიის საერთაშორისო არენაზე გატანა.

საქართველო - მისი გულის ნაწილი

ლაიოშ ტარდი და ქართველოლოგია ადამიანთა მეგობრული კონტაქტების, ურთიერთ პატივისცემისა და სიყვარულის ერთ - ერთი შესანიშნავი მაგალითია. მეცნიერულ - ქართველოლოგიური ინტერესების გარდა ლაიოშ ტარდის ამოძრავებდა ქართველებთან მეგობრობა, ამხანაგობა, სტუმარმასპინძლობა და ა.შ. საერთოდ კი, ეს თვისებები დამახასიათებელი იყო მისი პიროვნებისათვის. უნგრელი მეცნიერის მეგობრები იყვნენ და არიან ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მოღვაწეები: კ. გამსახურდია, ა. შანიძე, ლ. გუდიაშვილი, ი. ნონეშვილი, ი. ვეკუა, გ. წერეთელი, ა. ვასაძე, გ. მელიქიშვილი, ალ. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ე. მეტრეველი, შ. ძიძიგური, ი. ტაბალუა, გ. შარაძე და სხვ. მრავალ მათგანთან ყოფილა იგი სტუმრად საქართველოში და, პირიქით, მრავალი საინტერესო წერილი გამოუქვეყნებიათ მათ შესახებ და აქაც მომხდარა პირიქით.

უდიდესი პატივისცემით იყო გამსჭვალული იგი ა. გიგოშვილისადმი, რომლის პორტრეტი მის ბინაში ჰქონდა, და ალ. გამყრელიძისადმი. ლ. ტარდი ძლიერ დავალებულად გრძნობდა თავს საზღვარგარეთის ქვეყნებთან საქართველოს მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებისაგან / გ. მელაძე, ა. ჟღენტი, მ. მგელაძე, გ. ტატიშვილი, მ. ქელიძე და სხვ. / და იმ მეცნიერებისაგან, ვინც დახმარებას უწევდა კვლევით მუშაობაში (ალ. ბარამიძე, გ. მელიქიშვილი, ი. ტაბალუა, გ. შარაძე...). ამ უკანასკნელთაგან განსაკუთრებული ბაღიერების გრძნობით აფასებდა იგი პროფ. ი. ტაბალუას მხარდაჭერას. სწორედ მან გამოიჩინა სამაგალითო მონდომება ლ. ტარდის სადისერტაციო / სადოქტორო / შრომის გამოსაცემად, ყველა ღონე იხმარა რათა წიგნი დროულად და კარგად გამოსულიყო. აღსანიშნავია ისიც, რომ უნგრელი მეცნიერი არ ივიწყებდა ი. ტაბალუას დახმარებას დისერტაციის დაცვის დღეებში, თბილისში.

ლაიოშ ტარდის ქეშმარიტ და უანგარო სიყვარულზე საქართველოსადმი მეტყველებს მისი საცხოვრებელი სახლიც ბუდაპეშტში, რომლის კარები მუდამ ღია იყო საქართველოდან ჩამოსული ყველა სტუმრისათვის, მეცნიერისათვის, ვისაც კი აინტერესებდა უნგრეთში ყოფნა. ამ სახლში მოწყობილია ლამაზი მუზეუმი, სადაც თავმოყრილია ჩვენი ისტორიის, კულტურისა და ყოფა - ცხოვრების ამსახველი მრავალი ნივთი: ქართული ნაბადი, ჩოხა, ხალიჩა, ქედურობა, კერამიკა, ქაშარ - ხანჯალი, ყანწები და ა.შ.

გემოვნებით ექსპონირებულ მინიატიურულ მუზეუმს ამშვენებს მდიდარი ქართველოგიური ბიბლიოთეკა. წიგნების უმრავლესობა, რომლებიც ევროპულ ენაზეა დაწერილი, ლ. ტარდომ შეიძინა საზღვარგარეთ სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობის დროს.

დიდ ინტერესს იწვევს უნგრელი პროფესორის მიერ შექმნილი და სასოებით შენახული ქართველოლოგიური არქივი, რომელშიც არის ევროპის სიძველეთ საცავებში მოძიებული, უცხოურ ენებზე წარმოქმნილი უნიკალური წერილობითი წყაროები საქართველოს ისტორიის საკითხებზე. ლაიოშ ტარდომ ეს უმდიდრესი არქივი ქართველ ხალხს დაუტოვა /საამისო დოკუმენტი გაცემული აქვს/, კერძოდ, საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს.


უნგრელი მეცნიერის ამ პატარა ბიბლიოთეკა-მუზეუმს ახლავს შთაბეჭდილების წიგნიც, რომელშიც გაკეთებული ჩანაწერები ძირითადად ქართველებს, ჩვენი ერის მრავალ გამოჩენილ პიროვნებას, მეცნიერს თუ რიგით მოღვაწეს ეკუთვნის. მათი შინაარსი შეიცავს უნგრელი მეცნიერის შრომის მაღალ შეფასებას, აღფრთოვანებებსაც, კეთილ სურვილებს და ა.შ. მართლაც, არ შეიძლება ქართველ კაცში არ წარმოშვას რაღაც სასიამოვნო სიამაყის გრძობა იმან, რომ ევროპის ცენტრში - ბუდაპეშტში ცხოვრობდა ჩვენი ერის მოამბავე, მისი კეთილმოსურნე, და რაც მთავარია, ქართული სულის ადამიანი ლაიოშ ტარდი და მისი ოჯახი.

ლაიოშ ტარდის ქართველ ნაცნობ - მეგობრებს, რომლებიც მას მრავლად ჰყავდა, არაერთხელ უთქვამთ მის სტუმართმოყვარეობასა და გულუხვ მასპინძლობაზე. სამართლიანად შენიშნავენ მასთან სახლში ნამყოფნი, რომ სიამაყის გრძობით ათვალიერებინებდა მოსულს თავის მუზეუმს და ბიბლიოთეკას, ასაჩუქრებდა და შინ კმაყოფილს ისტუმრებდა. ყოველივე ეს მეც გამოვცადე 1983 წლის გაზაფხულზე, ხოლო მომდევნო წელს ორმოცი დღის განმავლობაში ვიცხოვრე და ვიბუშავე პატივცემული მეცნიერის სახლში, ბუდაპეშტში, ორგონას ანუ იასამნის ქუჩაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავის დროზე ლაიოშ ტარდომ, ჩემს გარდა, ბევრ ქართველ ახალგაზრდა მკვლევარს / გ. შარაძე, მ. სალაძე, ა. ტუღუში და სხვ. / გაუწოდა დახმარების ხელი უნგრეთში მუშაობის დროს. ლაიოშ ტარდომ იმდენად შეაყვარა თავი ქართველ ახალგაზრდობას, რომ ისინი მას მოფერებით „ლაიოშ ბაჩი“ - ს ეძახდნენ, რაც უნგრულად ბიძია ლაიოშს ნიშნავს.

ჩვენი უნგრელი მეგობარი ბევრჯერ იყო ნამყოფი საქართველოში, და როგორც ითქვა, ამ ქვეყნისადმი ინტერესი კაბუკობის ასაკში გაუჩნდა, მაგრამ იგი პირველად 60 - იანი წლების დასაწყისში გაიცნო

ქართველმა ხალხმა, როდესაც უკვე რამდენიმე გამოკვლევის ავტორი გახდა საქართველო - უნგრეთის ურთიერთობის საკითხებზე. მეცნიერს მხოლოდ 1967 წელს აუსრულდა ერთი ოცნება — პირველად ეწვია ჩვენს ქვეყანას, როგორც დელეგაციის წევრი, საქართველოში უნგრეთის კულტურის დღეებში მონაწილეობის მისაღებად.



ამის შემდეგ ლაიოშ ტარდი ხშირად / 1968, 1969, 1973, 1976, 1987 წლები / ჩამოდიოდა თბილისში, ჰქონდა ხანგრძლივი მეცნიერული მივლინებები, რომელთა დროს უფრო ღრმად ეცნობოდა ჩვენს ისტორიას, კულტურასა და ყოფა - ცხოვრებას, მუშაობდა ბიბლიოთეკებსა და არქივებში, ახლო შეგობრული ურთიერთობა დაამყარა აქაურ მეცნიერებთან, მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან.

უნგრელმა პროფესორმა, უკვე როგორც ქართველთა საპატიო სტუმარმა, 1976 წლის ოქტომბერში მონაწილეობა მიიღო ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში, ეწვია თბილისს, ხოლო უფრო მეტად დასაფასებელი ის იყო, რომ 70 წელს გადაცილებული მეცნიერი 1987 წელს ჩამოვიდა თბილისში ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუ-ბილეო დღეებში მონაწილეობის მისაღებად.

ლაიოშ ტარდის მიერ წარმოთქმული სიტყვა დიდი ილიას იუბილეზე გამსჭვალული იყო ქართველ - უნგრელთა

მეგობრული ურთიერთობების ისტორიული ტრადიციების წარმოჩენით: „განვილილმა წლებმა მრავალი რამ ამოშალეს ჩემი მეხსიერებიდან, - აღნიშნა მსკოვანმა მეცნიერმა, - მაგრამ ის კარგად მახსოვს, რომ ილია ჭავჭავაძის სამუშაო ოთახის კედელზე ჯუზეპე გარიბალდის, ადამ მიცკევიჩის და კაცობრიობის წინსვლისათვის სხვა მებრძოლთა გვერდით ლაიოშ კოშუტის ცნობილი სურათი ეკიდა... განა ილია ჭავჭავაძე და ლაიოშ კოშუტი იცნობდნენ ერთმანეთს? პირადად არა, მაგრამ ილია ჭავჭავაძე ლაიოშ კოშუტს თავისუფლებისათვის ბრძოლის ევროპულ მედროშედ მიიჩნევდა და დიდ პატივს ცემდა“./ „კომუნისტი“, 1987 წ. 23 ოქტომბერი, ლ. ტარდი, შეხვედრა კოშუტთან საგურამოში /.

სწორედ ილია ჭავჭავაძის 150 წლისთავს მიუძღვნა თავისი წიგნი „კავკასიის უნგრული სარკე“ ბატონმა ლაიოშმა, რომელიც სამწუხაროდ ავტორის უკანასკნელ წიგნად ითვლება. მასში, სატიტულო ფურცელზე, ლაიოშ ტარდის ქართული ხელნაწერთაა დაბეჭდილი, რომ წიგნი ძღვნად დიდ ილიას ეკუთვნის. იგი წარმოადგენს უნგრელი პროფესორის მიერ ადრეულ ნაშრომებში გადმოცემული საქართველო - უნგრეთის კულტურული, ისტორიული და სხვ. ურთიერთობების (დასაბამიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე) ამსახველი ძირითადი მომენტების ერთ წიგნში ასახვის ცდას, ყველა მნიშვნელოვანი ფაქტისა და დასკვნის თავმოყრის სურვილს ამ ორი ხალხის ისტორიული კონტაქტების შესახებ. უნდა ითქვას, რომ ავტორის მიზანი განხორციელებულია წარმატებით.

რაც შეეხება ზემოდასახელებული წიგნის შინაარსის ვრცლად გადმოცემას ზედმეტად მივიჩნევთ, რამეთუ მასში მოთავსებულმა თითქმის ყველა მომენტმა ლაიოშ ტარდის სხვა ნაშრომების განხილვის დროს წინა თავში პოვა ასახვა. შედარებით ახლებურად აქვს დაწერილი ავტორს წიგნის მხოლოდ შესავალი და დასკვნითი ნაწილი, სადაც უნგრელთა კავკასიაში განსახლების ისტორიოგრაფიის ზოგიერთ სიახლეზე ამახვილებს ყურადღებას. მისი აზრით უნგრელთა წინაპრების „სადღაც“ კავკასიაში განსახლების მეცნიერული ჰიპოთეზა კვლავ ცოცხლობს, ხილო მისი შემდგომი კვლევა დიდ ინტერესს იწახსურებს.

ქართველმა ხალხმა ღრმა პატივისცემით და სიყვარულით აღნიშნა თავისი გულითადი მეგობრის, ცნობილი უნგრელი მეცნიერის, ქართველოლოგის ლაიოშ ტარდის დაბადების 60, ხოლო შემდეგ 70 წლისთავი. ორივე შემთხვევაში რესპუბლიკურმა პრესამ და სამეცნიერო ჟურნალებმა გამოაქვეყნეს ლაიოშ ტარდისადმი მიძღვნილი საიუბილეო წერილები, მილოცვები, ფოტოები და ა.შ.

ქართველი ხალხის ამ გულთბილი გამოხმაურებისათვის, ნიშნად მადლიერებისა, ლაიოშ ტარდომ საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო 'მუზეუმს' საჩუქრად გამოუგზავნა ცნობილი მხატვრის ლანჩერონის ფერწერული ტილო. ეს სურათი მხატვარს 1928 წელს დაუხატავს საქართველოში მოგზაურობის დროს.

აღსანიშნავია, რომ 1988 წელს უნგრეთში შეიქმნა რუსთაველის საზოგადოების ასოციაცია - ევროპის ცენტრში პირველი საზღვარგარეთული ასოციაცია, რომელსაც სათავეში ედგა ლაიოშ ტარდი.

განუზომელია ლაიოშ ტარდის ქართველოლოგიური მოღვაწეობის მნიშვნელობა, რომელსაც იგი ათეული წლის განმავლობაში მეტად ნაყოფიერად ეწეოდა, ხოლო ჩვენი სამშობლოს უანგარო სიყვარული თითქმის მთელი სიცოცხლის განმავლობაში წმინდად ატარა. იგი იყო ჰუმანიტი კაცური კაცი, მწერალი, მეცნიერი, მამულიშვილი, რომელსაც სამშობლოში სიყვარულით „ფეხით მოსიარულე ენციკლოპედიას“, ხოლო მეგობრები „წიგნის კიას“ ეძახდნენ.

ზ ე ნ ი ზ ვ ნ ე ბ ი

შესავლისათვის

1. გ. შარაძე, „ლაიოშ ტარდის ქართველოლოგიური მოღვაწეობა“, ჟურნ. „მნათობი“, 1980, № 12, გვ. 169 - 176.
2. ალ. ბარამიძე, „ახლო წარსულიდან“, თბ. 1983, გვ. 351.
3. ს. თურნავა, „საზღვარგარეთული ქართველოლოგია“, თბ. 1978, გვ. 243.
4. „თავდადებული შრომისათვის“ გაზ. „თბილისი“, 1984, 22 დეკემბერი.

პირველი თავისათვის

1. Tardy L., Szaggatott krónika, Bp., 1986.
2. „მეგობრობის ფესვები“, გაზ. „სამშობლო“, 1978 წ. იანვარი, № 2, გვ. 6.
3. იქვე.
4. Tardy L., Balugyánszky, Mihaly, Bp., 1954.
5. Tardý L., A tokaji Ororsz Borvásarló Bizottság története, Sárospatak, 1960.
6. Tardy L., Orlay János, "Comunications et Bibliothecae Histor. Med. Hung.," 1959, 71p.
7. Tardy L., Régi Feljegyzések Magyarországról. Bp., 1982, 118-126 pp.
8. Radó Gy., Tardy L., - Jaksics Nagylaki György, "Horizont" 1967, 9-10, 927-936 pp.
9. Tardy L., - A. I. Turgenyer és Magyarország, "Filológiai Közlöny," 1966, 413-420 pp.
10. Tardy L., orosz utazók Budán és Pesten, "Tanylmányok Budapest multjából," XVIII Köi. Bp., 1971, 82-205 pp.
11. Tardy L., Az első orosz utelírás Magyarországról, "Fólia Historica", 1974, 23-30 pp.
12. ციტატები მოგვყავს გ. შარაძის ზემოთ შესავალში დასახელებული ნაშრომიდან, გვ. 170.
13. Tardy L., Régi feljegyzések Magyarországról, Bp., 1982.
14. Benda K., Tardy L., - Pierre Lescalopier utazása Erdélybe (1574), Bp., 1982.
15. Tardy L., A tatárorszagi rabszolgakereskedelem és a magyarok a XIII-XV században, Bp., 1980.
16. Л. Тарди, "Почему я собираю книги о Грузии?", "Вечерний Тбилиси", 24 января 1962 г.
17. იქვე.
18. გ. შარაძე, „ლაიოშ ტარდის ქართველოლოგიური მოღვაწეობა“, „მნათობი“, 1980, № 12, გვ. 171.
19. Tardy L., - "Jokai és Gruzia", "Magyar Nemzet", 1975, februar 22.
20. Tardy L., Szaggatott krónika, Bp., 1986, p.526.

მეორე თავისათვის

1. А. Иоанисян, Россия и армянское освободительное движение. 1947, с. 50-57; М. Полисвктов, Европейские путешественники по Кавказу. Тифл., 1935, с. 165-168; ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, თბ. 1960, გვ. 91-92; ვ. გუჩუა, ბოლოსიტყვაობა წიგნში: იაკუბ ბეი, თბ. 1971, გვ. 284-287; ა. კოკლავაშვილი, თბილისში, გაზ. „თბილისი“, 1962 წ., 17 აპრილი; ამ თხოვრებზე საყურადღებოა დავით ბატონიშვილის წერილი მუსინ - პუშკინისადმი, გამოქვეყნებული ი. ენიკოლოფოვის მიერ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1951, ნაკვ. 29 გვ. 289-294.

2. ზ. ქიქინაძე, გერმანელი დოქტორი იაკობ რეინეგსი. თბ. 1920. გ. ქიქოძე, ერეკლე მეორე, თბ., 1941, გვ. 112 და სხვ.

3. ლ. ტარდი, უნგრეთ - საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ. 1968, გვ. 15-19; Д. Радо, Л. Тарди, Грузия глазами венгров, сб. „Литературные взаимосвязи“, Тб. 1965, т.1, с. 199.

4. ვ. გუჩუა, ბოლოსიტყვაობა წიგნში: იაკუბ ბეი, თბ. 1971, გვ. 286.

5. ლ. ტარდი, იაკუბ ბეი, თბ. 1971, გვ. 4.

6. ა. ირემაძე, უნგრული რომანი ქართულ ენაზე, გაზ. „წიგნის სამყარო“, 1979, 10 მაისი.

7. გ. ქიქოძე, დასახ. ნაშრომი;

8. ლ. ტარდი, უნგრეთ - საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ. 1968, გვ. 18;

9. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1951, ნაკვ. 29, გვ. 291;

10. პაპუნა ორბელიანი, ამბავი ქართლისა, „ქართლის ცხოვრება“, 1854, გვ. 147, იხ. პ. გუგუშვილი, ქართული წიგნი, თბ. 1929, გვ. 67-68 და სხვ.

11. იხ. რ. ხუციშვილი, იაკუბ რეინეგსი საქართველოს კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში (დოკუმენტების პუბლიკაცია) საქართველოს სსრ მთავარი საარქივო სამმართველოს „საინფორმაციო-სამეცნიერო ბიულეტენი“, 1982 წ. № 41-42, გვ. 76-88;

12. Magyar Tudományos Akadémiai konyvtar, „Levelek“.

13. Tardy L., A keleti magyarok madzsar neve egy 1310, evi

kaffai olasz okiratban, "Antik Tanulmányok", 1981, kot.8 p. 205-209;

14. ლ. ტარდი, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ. 1968, გვ. 19-20;

15. Tardy L., Vilagjaro Besse Janos, Bp., 1963;

16. ლ. ტარდი, უნგრეთ - საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ. 1968, გვ. 22;

17. იქვე, გვ. 22-23;

18. Д. Радо, Л. Тарди, Грузия глазами венгров, сб. "Литературные взаимосвязи", Тб., 1965, т.1, с. 197-202;

19. ლ. ტარდი, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბ. 1968, გვ. 25;

20. არნ. ჩიქობავა, ბასკოლოგ-კავკასიოლოგი რენე ლაფონი..., კრებული „ბასკური ენა და ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა“, თბ. 1976, გვ. 107;

21. Tardy L., 2 Johannes Schoner es kovetoinek magyar targyu terkepei a 16. szazad elso negyedeben, "Folia Historica", 1973, 22-23 pp; Hungaro - georgian aspects of maps drawn by Johannes Shoner and his successors in the first quarter of the XVI th century, "Revue de kartvelologia", 1977, vol XXXV, pp. 244-252; იოჰანეს შონერისა და მისი მიმდევრების XVI საუკუნის პირველი მეოთხედის გეოგრაფიული რუკები, „მაცნე“ (ისტ. სერია). №1 და სხვ.

22. იხ. თ. ბერაძე, საქართველოს საზღვაო კურობის ისტორიიდან, „მაცნე“ (ისტ. სერია) 2. 1983, გვ. 22-39;

23. Tardy L., A tatarorszagi rabszolgakereskedelem es a magyarok a XII-XV szazadban, Bp., 1980;

24. Tardy L., A keleti magyarok madzsar neve egy 1310, svi Kaffai olasz okiratban, "antik tanulmányok", 1981, XXVIIIkot., 205-210 pp.;

25. ლ. ტარდი, „უნგრეთ - საქართველოს ლიტერატურული ურთიერთობანი“, „საბჭოთა ხელოვნება“, 1969, № 12, გვ. 17;

26. ლ. ტარდი, „შეხვედრა კოშუტთან საგურამოში“, „კომუნისტი“, 1987 წ. 23 ოქტომბერი;

27. „ივერია“, 1894, 12 მარტი;

29. „კვალი“, 1894, 20 მარტი;
30. Tardy L., Régi hirunk a világban Bp., 1979, p. 274;
31. ლ. ტარდი, მიკლოშ კიში ტოტფალუში და საქართველო, გაზ. „სამშობლო“, 1978 წ, დეკემბერი, № 27;
32. ლ. ტარდი, გ. შარაძე, ქართული სტამბის სათავეებთან, „კომუნისტი“, 1980, 7 სექტემბერი;
33. Tardy L., Martiny Sámuel Mingreliaban, in: Régi hirunk a villagban Bp., 1979, 202-207 pp.;
34. Tardy l., Oskar Asboth, "Budapester Rundschau" 1970, october 19;
35. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქივი, ფონ. 9, ან. 1, საქ. 1279, გვ. 23.
36. იქვე, გვ. 61;
37. . Лайош Тарди, "Грузия в общественном мнении средней Европы и грузино - венгерские связи в XVI веке", (диссертация на соискание ученой степени доктора исторических наук), Тбилиси, 1973 г., стр. 368.
38. ლ. ტარდი, უნგრეთ - საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში, თბ. 1980, გვ. 9
39. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ. 1902, გვ. 6-7;
40. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ. 1973, გვ. 85;
41. ლ. ტარდი, უნგრეთ - საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში, თბ. 1980, გვ. 9;
42. იქვე, გვ. 43;
43. იქვე, გვ. 46;
44. იქვე, გვ. 59;
45. იქვე;
46. გვ. 67;
47. იქვე, გვ. 156;
48. იქვე, გვ. 169;

49. გ. შარაძე, დიდი ღვაწლი, „თბილისი“, 1980, 19 აპ-რილი; შ. სვანიძე, უნგრელი და ქართველი ხალხის წარსულიდან, „ლიტერატურული საქართველო“ 1980, 26 დეკემბერი და სხვ.;

50. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქივი, ფონ. 9, ან. 1, საქ. 1272, გვ. 40.

ლ. იოს. ტარდის შესახებ გამოქვეყნებული
მასალები საქართველოს ჟურნალ - გაზეთებში

1. ალ. ბარაბიძე, ლაიოშ ტარდი, წიგნში „ახლო წარსულიდან“. თბ. 1987, გვ. 383—386.

2. ი. ბეკეში, უნგრეთ - საქართველოს მეგობრობის ერთი ფურცელი, „ლიტერატურული საქართველო“, 1965, 26 მარტი, № 13, გვ. 4.

3. მ. ბეკეში, ძმობის დესპანად, „თბილისი“, 1983, 2 ივნისი.

4. ი. გოცირიძე, სიყვარულის მისიით, „კომუნისტი“, 1985, 18 იანვარი.

5. თავდადებული შრომისათვის, „თბილისი“, 1984, 22 დეკემბერი, „სამშობლო“, 1985, იანვარი, № 1.

6. ს. თურნავა, ლაიოშ ტარდი, წიგნში „საზღვარგარეთული ქართველოლოგია“, თბ. 1978, გვ. 240—248.

7. „იაკუბ ხანი“, „ლიტერატურული საქართველო“, 1965, 2 აპრილი.

8. ა. ირემაძე, უნგრული რომანი ქართულ ენაზე, „წიგნის სამყარო“, 1972, 10 მაისი.

9. მ. კარბელაშვილი, ლაიოშ ტარდის „იაკუბ ბეი“, წიგნში „სულის ნაეური“, თბ. 1987, გვ. 624—630.

10. გ. მათურელი, უძველესი მეგობრობა, „სამშობლო“, 1972, 11 თებერვალი.

11. ვ. მარდალავიშვილი, უნგრეთში განცდილი სინარულის სევდიანი დასასრული, მოგზაურის დღიურიდან, „კომუნისტი“, 1987, 4 იანვარი.

12. მეგობრობის ფესვები, „კომუნისტი“, 1967, 22 სექტემბერი.

13. მეგობრობის ფესვები, „კომუნისტი“, 1977, 5 აპრილი.

14. მეგობრობის ფესვები, „სამშობლო“, 1978, იანვარი, № 2.

15. გ. პაიჭაძე, ორი ქვეყნის წარსულიდან, „კომუნისტი“, 1980, 4 აპრილი.

16. მ. სალაძე, უნგრეთში გამოიცა „სამშობლო“, 1980, იანვარი, № 1.

17. მ.სალაძე, უნგრელი მეგობრის გახსენება, „სამშობლო“, 1975, აპრილი, № 7.

18. მ. სვანიძე, უნგრელი და ქართველი ხალხების წარსულიდან, „ლიტერატურული საქართველო“, 1980, 26 დეკემბერი.

19. ი.ტაბალუა, საყურადღებო დისერტაცია უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხებზე, „მაცნე“, ისტორიის...სერია, 1973, № 3, გვ. 230-231.

20. ი. ტაბალუა, გ. შარაძე, უნგრელი ისტორიკოსის ლაიოშ ტარდის დაბადების 70 წლისთავი, „მაცნე“, ისტორიის...სერია, 1984, № 4. გვ. 173-175.

21. ლ. ტარდი, გულითადი სურვილები, „კომუნისტი“, 1967, 15 სექტემბერი.

22. ლ.ტარდი, ვინ იყო ვახრამ დადიანი?, „სამშობლო“, 1971, 13 აგვისტო.

23. ლ.ტარდი, ვმუშაობ საქართველოს ისტორიაზე, „წიგნის სამყარო“, 1972, 26 იანვარი.

24. ლ.ტარდი, იაკუბ ბეი, „ლიტერატურული საქართველო“, 1967, 15 სექტემბერი.

25. ლ.ტარდი, მეგობრობის ფესვები, „კომუნისტი“, 1967, 22 სექტემბერი.

26. უნგრეთში გამოიცა, „კომუნისტი“, 1979, 20 დეკემბერი.

27. უნგრელი ისტორიკოსის ლაიოშ ტარდის დაბადების 60 წლისთავი, „მაცნე“, ისტორიის... სერია, 1974, № 3, გვ. 172.

28. ნ. ღვინფაძე, წარსულიდან მომავალი გზა, „კომუნისტი“, 1984, 28 ივლისი.

29. გ. შარაძე, დიდი ღვაწლი, „თბილისი“. 1980, 19 აპრილი.

30. გ. შარაძე, სასოებით შენახული საუნჯე, „თბილისი“, 1980, 8 სექტემბერი.

31. გ. შარაძე, ლაიოშ ტარდის ქართველოლოგიური მოღვაწეობა, „მნათობი“, 1980, № 12, გვ. 169-176.

32. გ. შარაძე, საქართველოს სიყვარულით, „კომუნისტი“, 1986, 12 ივნისი.

33. ლ. ხუბულური, მეგობარი, „კომუნისტი“, 1974, 4 სექტემბერი.

34. ლ. ხუბულური, უცნობი წყაროები, ახალი დასკვნები, „კომუნისტი“, 1973, 12 მაისი.

35. ლ. ხუბულური, ჩვენი მეგობარი, „საბჭოთა ხელოვნება“, 1969, № 11, გვ. 65—67.
36. ლ. ხუბულური, ბაშ სტუმარი სასურველი, „კომუნისტი“, 1968, 15 ოქტომბერი.
37. ლ. ხუბულური, უნგრეთი და ჩვენი კულტურა, „კომუნისტი“ 1973, 16 ივნისი.
38. რ. ხუციშვილი, ჩვენი გულითადი მეგობარი ევროპის შუაგულიდან, „სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი“ (მთავარი საარქივო სამმართველო) № 45-46, გვ. 99-103.
39. С. Бебия, Венгерский историк о нашем крае, „Советская Абхазия“, 1985, 26 июля.
40. Венгере - грузинские взаимоотношения, „Вечерний Тбилиси“, 1969, 10 января.
41. За вклад в науку, „Вечерний Тбилиси“, 1984, 28 декабря.
42. В. Каишаური, Встреча через 30 лет, „Вечерний Тбилиси“, 1967, 19 сентября.
43. В. Мкервалишвили, Большой друг Грузии, „Советская Аджария“, 1984, 21 июля
44. Наш венгерский друг, „Вечерний Тбилиси“, 1970, 7 декабря.
45. Л. Тарди, Дружба не знает расстояний, „Заря Востока“, 1967, 19 сентября.
46. Л. Тарди, Почему я собираю книги о Грузии, „Вечерний Тбилиси“, 1962, 24 января.
47. В. Харазов, Спустя десять лет, „Вечерний Тбилиси“, 1973, 10 мая.
48. В. Харазов, „Якуб-бей“, „Вечерний Тбилиси“, 1963, 15 июля
49. Г. Шарадзе, Лайош Тарди - картвелолог, „Литературная Грузия“, 1980, №12, с. 207-215.

1. Baludászky Mihály. Bp., Akadémiai kiadó, 1954, 256 p.
2. Reinegs Jakab és Koháry János kaukázusi tevékenysége a XXII század második felében, In: Orsz. Orvostört. könyvtár közelményei, 1957, 48p.
3. Orlay János. In: Communicationes ex Bibliothecae Hist. Med. Hung. 1959, 77p.
4. Fejezetek az orosz-magyar orvosi kapcsolatok múltjából, Bp., Medicina kiadó, 1960, 199p. (Schultheisz Emillel).
5. A tokai Orosz Borásarló Bizottság története, Sárospatak, Rakoczi - Muzcum. 1960, 176p.
6. Magyarországi uticélmények és magyar irodalmi vonatkozások XIX század első negyedében megjelent orosz kiadványokban,
In: Tanulmányok a magyar - orosz irodalmi kapcsolatok köréből. 6 köt. Rp., 1961, 121 - 146 pp.
7. Jakub bej. Történelmi életrajhz, Bp., Móra - kiadó, 1963, 293p.
8. Világjáró Besse János, Rp., Tancsics - kiadó. 1963, 198p. (Radó Györgyel).
9. Az első francianyelvű magyar irodalomtörténet, In: Irodalomtört. közl., 1963, 228 - 232pp.
10. Ciovanni Manardo el' Ungheria, In: Atti del Convegno per la celebrazione del V. centenario, Ferrara 1963, 279-282pp.
11. Emnuel Cyrgy magyar testőr, a lipcei csata orosz hőse, In: Hadtört. közl. 1964, 270 - 275 pp.
12. Aspetti della fortuna di Pico nella cultura ungherese: Petrus Monebulatu lascovius. In: L' opera e il pensiero di Ciovanni Pico della Mirandola, Firenze 1964, vol 66. 399-403pp.
13. A magyarországi járványok történetéből. In: Történelem. 1964. 3.sz., 111 - 156pp. (Schultheisz Emillel).
14. Baranyai Decsi Czimor Janos Hodoeporikonja, In: Filol. közl., 1965, 359 - 371pp.
15. A magyar - gruz kapcsolatok történetéből, In: Történelem, 1965, 5. sz., 84 - 113pp.
16. Грузия глазами венгров, сборник "Литературные взаимосвязи", Тбилиси, том I, 1965, с. 197 - 202, (соавтор Д. Радо).
17. Short History of Epidemics in Hungary until the Great Cholera Epidemic of 1831. In: Centaurus, Munksgaard-Copenhagen, 1966, vol.11, No.4., 279-301 pp.(Schultheisz Emillel).
18. A. I. Turgenyev és Magyarország, In: Filológiai közl., 1966, 413 - 420 pp.
19. P. I. Keppen 1822. évi pesti naplójából, OSZK Évkönyve, 1963 - 64, Rp., 1966, 241 - 247pp.
20. Egy XVI század végén magyar újságíróélet és munkássága. In: Magyar könyvszemle, 1966, 349 - 362 pp.

X ბიბლიოგრაფიაში შეტანილი არ არის ლ. ტარდის საგაზეთო სტატიები, რეცენზიები, ტელე- და რადიოგადაცემები, რომელთა რიცხვი ორასამდეა.

21. Le voyage de Crigorovitch-Barsky en Hongrie en 1724, In: Slavica (Debrecen), 1967, 181 - 191pp.

22. Relations entre la Hongrie et la Géorgie aux XIII - XVIII siècles. Revue de Kartvélogie, Paris, 1968, 111 - 128p., 1969, 129 - 132pp.

23. Un variante ungherese dell' idea rinascimentale della dignita umana, In: Atti del V. convegno internazionale del Centro di Studi Hmfistici, Firenze 1968, 237 - 246pp.

24. A "budai orosz könyvtár" és az ürömi mauzoleum orosz Leiró, OSZK Évkönyve, 1965 - 66, Bp., 1968. 429 - 445pp.

25. უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1968. 28 გვ.

26. Izsák zsid orvos, a perzsi uralkodó és Corvin Mátyás összekötője a törökellenes világliga megszervezésében, Bp., 1969, Magyar-zsidó oklevéltár XII köt., 27 - 44pp.

27. A miniszterelnökségi központi Fordító Iroda és a belügyminisztériumi Fordító Osztály története (1869-1949), Bp., OFFI kiadása, 1969, 54 p.

28. Martiny Smuel és a gruziai bortermelés, In: Agrártörténeti Szemle, 1969, 490 - 495pp.

29. ქართულ - უნგრული ლიტერატურული ურთიერთობანი, „საბჭოთა ხელოვნება“, 1969, № 12 გვ. 17 - 19.

30. Путь Катерино Зено, посла Узун - Хасана через Грузию в Венгрию, "Литературная Грузия", 1969, 1 11-12, с. 129 - 135.

31. Из истории грузино - венгерских связей, "Литературная Грузия" 1970, 1 1, с 85 - 89.

32. Heraclius, roi de Georgie après des documents portugais de 1766. In: Revue de Kartvélogie Kartvelologie, 1970, 101 - 107pp.

33. Из грузино - венгерских связей эпохи турецкой оккупации „მაცნე“ ...ისტორიის სერია, 1971, №4, გვ. 108 - 114.

34. Rapports d' Antal Verancsics, ambas adeur a Stamboul, sur la Géorgie (1553-1557, 1567-1568), In: Revue de Kartvélogie, 1971, 208 - 230 pp.

35. Orosz utazók Budán és Pesten, Tanulmányok Budapest multjából, XVIII köt. Bp. 1971, 182 - 205 pp.

36. Régi magyar követjárások Keleten, Bp., Akad. kiado, 1971, 221p.

37. Ungarns atiosmanische Bündisse mit Staaten des Nahen Ostens und deren Vorgeschichte, In: Anatolica, No 4, 1971 - 1972, 139-156pp.

38. იაკუბ ბეი, თბილისი, გამომცემლობა "ნაკადული", 1971, გვ. 287.

39. Первый венгерский переводчик Пушкина в Грузии, сборник "Литературные взаимосвязи". Тбилиси, т. III, 1972, стр. 18 - 26 (соавтор Д. Радо).

40. Image de la Géorgie dans les onvrages d' un écrivain eallemand du XVIII siècle: E. W. Happel, In: Revue de Kartvélogie, 1972, 271 - 286 pp.

41. The Contacts of the two Dees and Sir Philip Sydney with Hungarian Physicians. In: Communications de Historia Artis Medicinae, Suppl.6. Bp., 1972, 97-111pp. (Schultheisz Emillel).

42. Le roi Simon I de Géorgie á la lumiére des sources

des Europe, In: Revue de Kartvélogie, 1973, 139 - 156pp.
974, 147 - 174 pp.

43. Johannes Schöner és követőinek magyar tárgyú térképei a 16. század első negyedében, In: Folia Historica, 1973, 22 - 33 pp.

44. A XVI századi Gruzia belső problémái Verancsics Antal titkárának jelentésében. In: Keletkutas, 1973, 15 - 25 pp.

45. Ismeretlen orosz diakonus uti jegyzetei a XV századi Magyarorságról, In: Egházi Krónika, 1973, 5.sz., 7 - 8 pp.

46. L'echo de la première manifestation de David Reubéni dans les brochures de colportage allemandes de L'époque, In: Revue des Etudes Juives CXXXII, 1973 595 - 601 pp. (Scheiber Sándorral).

47. Zur entdeckung des Monumentum Ancyranum (1555). In: Acta Antiqua, XXI, 1973, 375 - 401 pp. (Moskovszky Evával).

48. Verancsics Antal sztambuli kövjelentései Gruziáról, In: Századok, 1973, 91 - 105 pp.

49. Az első orosz utleírás Magyarországról, In: Folia Historica 1974, 23 - 30 pp.

50. Andrzej Taranowskis Bericht über seine Gesandtschaftsreise in der Tartarei (1569), In: Acta orientalia, XXVII 1974, 213 - 252 pp. (Vasary Istvannal).

51. Kaukasus - Bibliographie eines ungarischen Autor aus dem Jahre 1802, In: Anflecta Lingeistica, Budapest - Amsterdam, 1975.

52. Hunyadi János Kapcsolata a krim-félszigeti városokkal és ennek előzményei, In: Keletkutatás. 1975, 117 - 138 pp.

53. Le ruolo di Venezia nei rannorti persiani e georgiani dell' Unghria, In: Rapporti veneto-ungheresi all' epoca del Rinascimento, Budapest, 1975, 257 - 267 pp.

54. Les problèmes intérieurs de la Géorgie du XVI^e siècle dans le rapport envoyé de Samboul par un diplomate impérial, In: Revue de Kartvélogie, 1975, 191 - 203 pp.

55. A naiv őshazakutatás multjából. A XIX századbelső felében Oroszországban élt magyarok néhány levele. In: Keletkutatás, 1975, 153 - 161 pp.

56. Главы из истории русско - венгерских медицинских связей, Москва, Медицина, 1976, с. 251. (соавтор Е. Шультеис).

57. Донесения венгерского посла в Стамбуле Антала Веранчича о Грузии (1553-1557, 1567-1568). Сборник "Литературные взаимосвязи", т. VI Тбилиси, 1976, с.5-29.

58. იოჰანეს შონერისა და მისი მიმდევრების XV საუკუნის პირველი მეოთხედის გეოგრაფიული რუკები, მაცნე, ... ისტორიის სერია, 1976, № 1, გვ. 81-89.

59. უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XIII - XVIII საუკუნეებში, კრებული „უცხოელი ავტორები საქართველოს შესახებ“, 1976, გვ. 50 - 62.

60. Rapports diplomatiques sur la Géorgie entre les années 1550 et 1570, In: Revue de kartvélogie, 1976, 102 - 111 pp.

61. Rabok, követek, kalmárok az oszmán birodalomról, Bp., Gondolat-kiadó, 1977, 455 p.

62. Johannes de Galonifontibus 1404. évi utibeszámoleja a Kaukázusi népekről, In: Antik Tanulmányok - Studia Antiqua, 1977, 91, - 123 pp.

63. Évezredes kapcsolat, In: Szovjet Irodalom, 1977, 10.sz.

63. Evezredes kapcsolat, In: Szovjet Irodalom, 1977, 10.sz. 148 - 153 pp.
64. Perzsia es Nyugat Mohacs clott, In: Szazadok, 1977, 728 - 734 pp.
65. Les cartes geographiques d'intret hongrois... dans le premier quart du XVI^e siecle, In: Les anciens Hongrois et les ethnies voisines a l'est (red. I. Erdelyi), Bp., Akad. Kiado, 1977, 271-281 pp.
66. Hungar-georgion aspects of maps drawn by Johannes Schoner and his successors in the first quarter of the XVIth century, Revue de Kartvelologie, Paris, 1977, 244 - 252 pp.
67. Beyond the ottoman Empire, Szeged, (Studia Uralo-Altaica, 13), 1978 260 p.
68. The Caucasian Peoples and their Neighbours in 1404, In: Acta Orientalia, XXXII, 1978, 83 - 111 pp.
69. Rapports sur la Georgie d' une chronique de l' anne 1404, Revue de Kartvelologie, 1978, 200 - 212 pp.
70. Regi hirunk a vilagban, Bp., Gondolat-kiado, 1979, 331 p.
71. უნგრეთ - საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში, თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1980, გვ. 200.
72. A tatarorszagi rabszolgakereskedelem es a magyarok a XIII - XV szazadban, Bp., Akad. Kiado, 1980, 243 p.
73. Utazas egy felperzselt orszagban. Hans Dernschwam uti jegyzetei a hodoletsi Magyarorszagrol (1555), In: Forras, 1980, aprilis, 89 - 95 pp.
74. Erdely es Franciaország szovetsegének terve egy 1574. evi utleiras tukreben, In: Magyar Tudomany, 1980, 4. sz., 253 - 260 pp.
75. Zumitteuroposchen Quellen der Geschichte Georgiens im 16. Jahrhundert, In: Revue de Kartvelologie, 1980, 286 - 294 pp.
76. A keleti magyarok madzsar neve egy 1310. evi Kalfai olaszokiratban, In: Antik Tanulmányok - Studia Antigua XXVIII, 1981, 205 - 210 pp.
77. Diaria Hineraria Geologica, In: Georgica, Heft 4, 1981, 37 - 41 pp.
78. Regi feljegyzetek Magyarorszagrol, Bp., Mora-kiado, 1982, 207 p.
79. Pierre Lescalopier utazasa Esdelybe (1574), Bp., Europa-kiado, 1982, 135 p. (Benda Kalmannal).
80. Georgische Teilnahme an den persisch - afghanischen Kriegen 1711 - 1725 im Spiegel eines Missionsberichtes, In: Revue de Kartvelologie, 1982, 316-329 pp.
81. Ранние венгерские путешественники в Поволжье. In: Chuvash Studies, Bp., 1982, Akad. Kiado, 237-246 pp.
82. Hans Christian Andersen magyarorszagi elmenyei, In: Kortars, XXVI 1982, december, 1956 - 1963 pp.
83. Madscharische Sklaven in der Tartarei, Szeged, (Studia Uralo - Altaica, 20.), 1983, 258 p.
84. Hans Dernschwam elete es muvei, Bp., Europa-kiado, 1984, 500 p.
85. Szaggatott Kronika, szepirodalmi Konyvkiado, Bp., 1986, 595 p.
86. Kaukazusi magyar tukor, Akademiai kiado, Bp., 1988.
87. Historiai inyenc falatok, Bp. 1989.

შინაარსი

შესავალი	5
I თავი. „ყველა გზას საქართველოსკენ მივყავდი“	7
II თავი. ქართველოლოგიური ძიებანი	13
III თავი. საქართველო - მისი გულის ნაწილი	36
- შენიშვნები	41
- ლაიოშ ტარდის შესახებ გამოქვეყნებული მასალები საქართველოს ჟურნალ - გაზეთებში	46
- ლაიოშ ტარდის ნაშრომების ბიბლიოგრაფია	49

რედაქტორი გ. შენგელია
მხატვარი გ. ლომიძე

ტირაჟი 5.000

ფასი ხელშეკრულებით

4-

გამომცემლობა სსკც „კოოპინპროგრესი“
ვაჟა-ფშაველას № 1
თბილისი

1992